



USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF
FREEDOM OF INFORMATION



Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC)

საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების
განვითარება საქართველოში

მოქალაქის პლატფორმა www.ichange.ge

კონცეფცია

2012 წლის 1 ნოემბრიდან, ხუთი თვის მანძილზე IDFI-იმ („ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“) განახორციელა საერთაშორისო დონეზე არსებული და დანერგილი ელექტრონული ჩართულობის პლატფორმების მონიტორინგი. გთავაზობთ დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად შემუშავებულ რეკომენდაციებს. შემუშავებული წინადადებები შეიძლება საგულისხმო აღმოჩნდეს საქართველოში მსგავსი პლატფორმის ინიცირებისას.

ვფიქრობთ, რეკომენდაციები სასარგებლო უნდა საქართველოს მთავრობისთვის ინიციატივა „პარტნიორობა ღია მმართველობისთვის“ ფარგლებში შემუშავებული გეგმის განხორციელების პროცესში.

კვლევითი ჯგუფი, თავის მხრივ, მზადაა ნებისმიერ დაინტერესებულ მხარესთან ამ საკითხების გარშემო უფრო სამუშაო ფორმატში განხილვისა და მსჯელობისთვის.

პროექტს ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI), „პოსტსაბჭოთა კვლევების ცენტრთან“ (CPSS) ერთად, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის - „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების“ (G-PAC) - ფარგლებში.

ამ პროგრამის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

კვლევა არ გამოხატავს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

შინაარსი

მოქალაქის პლატფორმა www.ichange.ge	3
შესავალი.....	3
www.ichange.ge - კონცეფცია	5
ელექტრონული პეტიციები.....	6
ელექტრონული საჯარო კონსულტაციები	12
ელ-განხილვების განყოფილება.....	16
დანართი 1: ელექტრონული ჩართულობის პორტალის ლოგიკური ჩარჩო.....	19
დანართი 2: ონლაინ პეტიციების საუკეთესო გამოცდილება	23
ონლაინ პეტიციები აშშ-ში	23
ონლაინ პეტიციები დიდ ბრიტანეთში	32
გერმანიის ბუნდესთაგის ონლაინ პეტიციები	41
დანართი 3: ელ-კონსულტაციების საუკეთესო გამოცდილება	52
დიდი ბრიტანეთი	60
შოტლანდია.....	64
ავსტრალია	67
ყაზახეთი	71
ესტონეთი	76
ბაჰრეინი	80

მოქალაქის პლატფორმა WWW.ICHANGE.GE

(კონცეფცია)

შესავალი

2011 წლის 30 აგვისტოს საქართველო შეუერთდა საერთაშორისო ინიციატივას „პარტნიორობა ღია მმართველობისთვის“, რომლის ფარგლებშიც, საქართველოს მთავრობამ აიღო მნიშვნელოვანი ვალდებულებები გამჭვირვალობისა და ღია მმართველობის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიმართულებით. 2012 წლის აპრილის თვეში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ გამოაქვეყნა „პარტნიორობა ღია მმართველობისთვის“ საქართველოს სამოქმედო გეგმა, რომლის განხილვაც აქტიურად მიმდინარეობდა საქართველოს სამოქალაქო სექტორთან ერთად. აღსანიშნავია, რომ კონსულტაციების პროცესში ხელისუფლებამ გაითვალისწინა ჩვენ მიერ (IDFI) შეთავაზებული წინადადებები, კერძოდ, საზოგადოებრივი ჩართულობის ღია პლატფორმის შექმნასთან დაკავშირებით. IDFI-ის რეკომენდაციები შემდეგნაირად იყო ფორმულირებული:

"სამწუხაროდ საქართველოს სამოქმედო გეგმის პროექტში თითქმის არ არის ასახული „ღია მმართველობის“ კონცეფციის ისეთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, როგორც არის საჯარო პოლიტიკაში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოებრივი ჩართულობა. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული (G2C - Government to Citizen) მნიშვნელოვანია, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, მთავრობები ხელისუფლებაზე ორიენტირებულ მიდგომას ცვლიან საზოგადოებაზე ორიენტირებული მიდგომით. ისინი ქმნიან გარემოს, სადაც მოქალაქეები ჩართულნი არიან სამთავრობო საქმიანობაში და აქვთ ხმის უფლება გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შესაბამისად, ჩვენ მნიშვნელოვნად ვთვლით რიგი ინიციატივების აქტიურ დანერგვას სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით:

საჯარო დიალოგის ღია პლატფორმის შემუშავება www.opinions.gov.ge, სადაც მიმდინარეობს ონლაინ განხილვები და კონსულტაციები, ქვეყნდება ელ-ჩართულობისთვის აუცილებელი მოვლენათა კალენდარი, შესაძლებელია მაღალი თანამდებობის ოფიციალური პირებისთვის კითხვების დასმა და პასუხების მიღება,

ონლაინ ფორუმზე მიმდინარეობს სხვადასხვა საკითხების განხილვა, მოქალაქეებს საშუალება აქვთ ინიცირება გაუკეთონ საკუთარ წინადადებებს, ხმა მისცენ კონკრეტულ გამოკითხვებს, ჩაერთონ მთავრობის მიერ ინიცირებული პროგრამების/პროექტების/სტრატეგიების განხილვაში;

პეტიციების ელექტრონული პლატფორმის დანერგვა www.petitions.gov.ge - აღნიშნული რესურსის გამოყენებით შესაძლებელი იქნება ნებისმიერი მსურველის მიერ ელექტრონული პეტიციის ინიცირება. ხოლო, შესაბამისი რაოდენობის ელექტრონული ხელმოწერების შეგროვების შემთხვევაში (მაგ. 10 000 ხელმოწერა), საზოგადოების მიერ დაყენებული საკითხი განიხილება შესაბამისი კომპეტენციის უწყების მიერ. განხილვის შედეგები ღიად გამოქვეყნდება და თან დაერთვება პეტიციის გვერდს."

საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინა IDFI-ის მიერ შეთავაზებული რეკომენდაციები და დამტკიცებულ სამოქმედო გეგმაში შეიტანა მნიშვნელოვანი ვალდებულება, 2013 წელს დანერგოს მოქალაქის პლატფორმა - ichange.ge რომელიც შექმნის შემდეგ შესაძლებლობებს:

- საკითხის ან პრობლემის წამოჭრა, რომელიც მოქალაქის აზრით ყურადღებასა და გადაჭრას საჭიროებს;
- იდეის შეთავაზება, რომელიც მოქალაქის აზრით კონკრეტულ პრობლემას მოაგვარებს ან სასარგებლო იქნება საზოგადოებისთვის/ქვეყნისთვის;
- სხვა მოქალაქეები ჩაერთვებიან განხილვაში და შეძლებენ საკუთარი აზრის გამოთქმასა და საკუთარი გამოსავლის შეთავაზებას;
- შესაძლებელია განთავსდეს ელექტრონული პეტიცია, რაც კონკრეტულ ქმედებას მოითხოვს წვრილმან ან სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან გარემოებასთან დაკავშირებით. თუკი პეტიციას დადგენილი ოდენობის მოქალაქე მოაწერს ხელს (სავალდებულო ოდენობა დამოკიდებულია საკითხის მნიშვნელობასა და მასშტაბზე), სავალდებულო იქნება საკითხის განხილვა.

მოქალაქის პლატფორმაზე იმუშავებს საჯარო მოხელეთა სპეციალურად დაკომპლექტებული გუნდი, რომელიც იდეებს და პრობლემებს შესაბამის უწყებებს მიაწვდის. – „ღია მმართველობის პარტნიორობა".¹

¹ საქართველოს სამოქმედო გეგმა 2012-2013 წწ. იხილეთ: http://www.justice.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=796

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს მთავრობის მიერ აღებული ვალდებულება უნდა დაინერგოს 2013 წელს, ჩვენ ვთვლით, რომ სასწრაფოდ უნდა მოხდეს პლატფორმის კონცეფციის შემუშავება, დამტკიცება და ტექნიკური იმპლემენტაცია. "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" (IDFI) საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით,² რომელიც განხორციელდა EWMI-ის პროგრამის G-PAC-ის დაფინანსებული პროექტის - „ელექტრონული ჩართულობის განვითარება საქართველოში“ - ფარგლებში, წარმოადგენს საკუთარ ხედვას იმისა, თუ რა ფუნქციონალი და მექანიზმები უნდა არსებობდეს მოქალაქეთა მონაწილეობის პლატფორმაზე. ვთვლით, რომ ჩვენი კონცეფციის ინტეგრირება ონლაინ პლატფორმის დანერგვაში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში ელექტრონული დემოკრატიის თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრებას.

WWW.ICCHANGE.GE - კონცეფცია

მთავრობის მიერ ინიცირებული ელექტრონული პლატფორმა (www.ichange.ge) სასურველია სამი განყოფილებისგან შედგებოდეს: ელ-პეტიციები, ელ-კონსულტაცია და ელ-განხილვები. თითოეულ მათგანს განსხვავებული დანიშნულება ექნება:

- **ელ-პეტიციების** გამოყენებით შესაძლებელი იქნება ნებისმიერი მსურველის მიერ ელექტრონული პეტიციის ინიცირება. შინაარსობრივად, მოქალაქეების მიერ ინიცირებული წინადადებები უნდა ეხებოდეს მთავრობის კომპეტენციაში შემავალ საკითხებს (საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის შესახებ“), რადგან მათზე რეაგირება სწორედ მთავრობის პრეროგატივა იქნება. შესაბამისი რაოდენობის ელექტრონული ხელმოწერების შეგროვების შემთხვევაში (5 000 ხელმოწერა) საზოგადოების მიერ დაყენებული საკითხი განიხილება მთავრობის სხდომაზე.
- **ელ-კონსულტაციის** - განყოფილება ორიენტირებული იქნება დაინტერესებული და მიზნობრივი ჯგუფების მოსაზრებების განხილვაზე. ის შესაძლოა მიმდინარეობდეს,

² დანართის სახით იხილეთ ინფორმაცია და ანალიზი შემდეგი ქვეყნების ელექტრონული პლატფორმებისა და აპლიკაციების შესახებ: ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, ბაჰრეინი, ყაზახეთი, გერმანია, ესტონეთი.

როგორც ერთ ეტაპად, ასევე საკონსულტაციო პერიოდში მუდმივი ინტერაქტივის სახით. ელ-კონსულტაცია დიდ წილად მიმართული იქნება საზოგადოების (დაინტერესებული მხარეების, მათი შორის ფიზიკური და იურიდიული პირები - ორგანიზაციები, ინსტიტუტები, სხვადასხვა ტიპის გაერთიანებები) მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე მაქსიმალურად მაღალი ხარისხის პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და დოკუმენტების შექმნისაკენ. საკონსულტაციო საკითხების იდენტიფიცირება და ინიცირება ამ შემთხვევაში მოხდება მთავრობის, კონკრეტული სამინისტროს ან სტრუქტურული ერთეულის მიერ.

- **ელ-განხილვები - აღნიშნული** განყოფილება მთლიანად დაეთმობა მოქალაქეებს, მათ საშუალება ექნებათ საჯაროდ განიხილონ მათთვის აქტუალური საკითხები და მოითხოვონ შესაბამისი კომპეტენციის ორგანოებისგან მათზე რეაგირება მექანიზმების, პოლიტიკის და კონკრეტული მიდგომების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

აღნიშნული პლატფორმა უნდა იყოს მთავრობის კანცელარიის შიგნით სპეციალურად მოქალაქეებთან კომუნიკაციაზე მომუშავე ჯგუფის კომპეტენციაში და სწორედ მათ უნდა გაუწიონ მონიტორინგი და შეფასება გვერდის ფუნქციონირებას. უნდა უზრუნველყონ სისტემის მართვა, ინფორმაციის განახლება, მხარეებს შორის კოორდინაცია, ინფორმაციის ოპერატიული მიწოდება სამინისტროებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის.

საერთაშორისო მაგალითებისა და საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, გთავაზობთ სარეკომენდაციო პაკეტს იმასთან დაკავშირებით, თუ რა ფუნქციები და განყოფილებები არის აუცილებელი მსგავსი პლატფორმების შესაქმნელად.

ელექტრონული პეტიციები

ელექტრონული პეტიციებისთვის დათმობილი განყოფილება შემდეგი ქვე-კატეგორიებისგან უნდა შედგებოდეს:

- **ყველა პეტიცია** - აქ განთავსებული უნდა იყოს ყველა გამოქვეყნებული პეტიცია. თუმცა, მომხმარებლისთვის ნავიგაციის გასამარტივებლად შესაძლებელია მათი დაჯგუფება.

კატეგორიზაცია შესაძლებელია მოხდეს როგორც საკითხების (მაგალითად, განათლება, ეკონომიკა, გარემო და ა.შ.), ასევე, შესული ინიციატივების სტატუსის (ღია, დახურული, უარყოფილი) მიხედვით.

ყველაზე მნიშვნელოვანი აღწერაში პეტიციების შესახებ მოცემული ინფორმაციაა. კერძოდ, ღია პეტიციებთან დაკავშირებით, სასურველია მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული არსებული პრობლემა და მის გადასაჭრელად ინიციატივის ავტორი კონკრეტული ღონისძიებების გატარებას სთავაზობდეს მთავრობას. გარდა პეტიციის შინაარსობრივი მხარისა, მოცემული უნდა იყოს შემდეგი დეტალები:

- იდეის ავტორის სახელი და გვარი/ინიციალები
- ხელმოწერების ინიციალები;
- საჭირო ხელმოწერების რაოდენობა;
- კონკრეტული დროისთვის შეგროვებულ მხარდამჭერთა ოდენობა;
- ხელმოწერების მოპოვების საბოლოო ვადა.

დახურული პეტიციების შემთხვევაში აუცილებელია განთავსებული იყოს შემდეგი მონაცემები:

- იდეის ავტორის სახელი და გვარი/ინიციალები;
- ხელმოწერების ინიციალები;
- მოპოვებული ხელმოწერების რაოდენობა.

გვერდის ადმინისტრატორმა მომხმარებელს მუდმივად უნდა მიაწოდონ ინფორმაცია პეტიციის სტატუსისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ, კერძოდ:

- პირველ ეტაპზე, მთავრობამ მოქალაქეებს უნდა აცნობოს ხელმოწერების შეგროვების დასრულებისთანავე, როდის და რა ფორმატში დაიწყება ინიციატივის განხილვა.
- მოგვიანებით, ეტაპობრივად საჯაროდ უნდა დაიდოს ინფორმაცია საკითხის გარშემო გამართული დებატების, დისკუსიებისა და განხილვების შესახებ მთავრობისა თუ ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფების შიგნით.
- ბოლო ეტაპზე - საბოლოო პასუხი და მთავრობის გადაწყვეტილება უნდა საჯაროდ გამოქვეყნდეს პეტიციების გვერდზე.

ხელისუფლების პასუხი შეიძლება იყოს როგორც საკუთარი პოზიციის დაფიქსირება პეტიციით წამოჭრილი საკითხის მიმართ, ასევე, პრობლემის გადაწყვეტისთვის მთავრობის მიერ მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში დაგეგმილი ღონისძიებების ჩამონათვალი.

უარყოფილი პეტიციების გამოქვეყნება გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი იქნება. საზოგადოებისთვის უფრო ნათელი გახდება რომელი წესის დარღვევის გამო ვერ მოხერხდა ცალკეული იდეის გამოქვეყნება. ამასთან ერთად, ეს გაზრდის მოქალაქეების ნდობას ონლაინ-პეტიციების პლატფორმის ადმინისტრატორისა და ზოგადად მთავრობის მიმართ. აუცილებელია უარყოფილი იდეის ტექსტის გამოქვეყნებასთან ერთად, მოცემული და ახსნილი იყოს პეტიციის არმიღების მიზეზი.

ელ-პეტიციის შექმნა - ელ-რესურსზე მომხმარებელმა იდეის გამოსაქვეყნებლად შემდეგი ეტაპები უნდა გაიაროს:

- **იდენტური პეტიციების მოძებნა/გადამოწმება:** მოქალაქეს საკუთარი პეტიციის შექმნამდე, საძიებო სისტემაში იდეის სახელის მითითებით, უნდა შეეძლოს გადაამოწმოს მსგავსი ინიციატივის არსებობა. იდენტური პეტიციის აღმოჩენის შემთხვევაში მომხმარებელი მსგავსი პეტიციის შექმნის ნაცვლად, უბრალოდ ხელს მოაწერს და შეუერთდება მანამდე განთავსებულ იდეას. სხვა შემთხვევაში, იგი გააგრძელებს საკუთარი წინადადების დარეგისტრირებას;
- **პეტიციის დარეგისტრირების დაწყება - ძირითადი დეტალები:** ამ ეტაპზე მომხმარებელი ელექტრონული პეტიციის შესახებ შემდეგ მონაცემების შეავსებს: სათაური, აღწერა (მაქსიმუმ 800 სიტყვა). ამასთან ერთად, თითოეული ველის შესავსებად, მოცემული იქნება შესაბამისი რჩევები, რითაც მოქალაქეს გაუადვილდება საკუთარი იდეის ფორმულირება. მაგალითად, პეტიციის აღწერისთვის განკუთვნილი ადგილის გასწვრივ, ვებ-გვერდის ადმინისტრატორი მომხმარებელს შეიძლება ურჩევდეს შემდეგს: მოკლედ, მკაფიოდ დაახასიათოს საკუთარი ინიციატივა, აუცილებლად ჩამოაყალიბოს პრობლემის გადასაჭრელად ხელისუფლებისგან რა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს.
- **საკუთარი მონაცემები:** შემდეგ ეტაპზე მომხმარებელი მიუთითებს საკუთარ მონაცემებს. კერძოდ: სახელს, ელექტრონულ ფოსტას, მისამართს (ქვეყანა, ქალაქი, საფოსტო კოდი), პირადობის მოწმობის ნომერს.
- **პეტიციის გაგზავნა:** ბოლო ეტაპზე პეტიციის ინიციატორი კიდევ ერთხელ შეამოწმებს აღწერას და შეიტანს საბოლოო ცვლილებებს. ამასთანავე, გაეცნობა და დაადასტურებს წინაპირობებს - ვებ-გვერდის ადმინისტრაციამ მომხმარებელი უნდა უზრუნველყოს ელექტრონული პლატფორმის გამოყენების წესების დეტალური აღწერით. აღნიშნულ წესებში ჩამოთვლილი უნდა იყოს ყველა ის მიზეზი, რის გამოც შესაძლოა პეტიცია არ გამოქვეყნდეს. ამგვარი მიზეზები შეიძლება იყოს: სიძულვილის ენის გამოყენება, კომერციული საქმიანობის დაფინანსების მოთხოვნა, ყალბი ანგარიშით პეტიციის შექმნის მცდელობა და ა.შ.

მას შემდეგ, რაც მომხმარებელი დაეთანხმება შეყვანილი ინფორმაციის სიზუსტეს და პორტალის მოხმარების წესებს, იდეა გაეგზავნება საქართველოს მთავრობას. ამავდროულად, მომხმარებელს საკუთარ ელექტრონულ ფოსტაზე მიუვა შეტყობინება პეტიციის გაგზავნასთან დაკავშირებით, მითითებული უნდა იყოს ვადა, რა დროშიც განიხილება მისი იდეის გამოქვეყნების საკითხი.

შემდეგ ეტაპზე ვებ-გვერდის ადმინისტრაცია განიხილავს პეტიციის შინაარსს და ამოწმებს რამდენად დაცულია პეტიციების ვებ-გვერდის გამოყენების წესები. დადებითი პასუხის შემთხვევაში პეტიცია ქვეყნდება ვებ-გვერდის განყოფილებაში „ღია პეტიციები“. წესების დარღვევის შემთხვევაში კი იდეა გამოქვეყნდება „უარყოფილ პეტიციებში“. ორივე შემთხვევაში იდეის ინიციატორს გაუგზავნიან ელექტრონულ შეტყობინებას იდეის სტატუსთან და გამოქვეყნების ადგილთან დაკავშირებით, შესაბამისი ბმულის მითითებით.

პეტიციის ელექტრონულ რესურსზე განთავსების შემდეგ შესაძლებელი ხდება მისი ფართოდ გავრცელება და მხარდამჭერების მოგროვება. წარმატებული კამპანიისა და საჭირო ოდენობის მხარდამჭერთა მოპოვების შემდეგ, იდეა გადაინაცვლებს კატეგორიაში „დახურული“. ამის შესახებაც ინფორმაცია უნდა განთავსდეს, როგორც საჯაროდ, პეტიციის აღწერაში, ასევე, აღნიშნული ცნობით უნდა უზრუნველყონ პეტიციის ინიციატორი.

- **გადაწყვეტილების მიღება** - პეტიციების ელექტრონულ პორტალზე ცალკე განყოფილება უნდა არსებობდეს მთავრობის გამომხატურებისა და პასუხებისთვის. აქ თავმოყრილი იქნება პეტიციების შესახებ ინფორმაცია, მას შემდეგ რაც ცალკეულმა იდეამ მოიპოვა სათანადო მხარდაჭერა და მოექცა მთავრობის დღის წესრიგში.

შეიძლება გამოიყოს ხელისუფლების მხრიდან უკუკავშირის რამდენიმე ფორმა: პირველ რიგში, მომხმარებელს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ვადების შესახებ, რის ფარგლებშიც ონლაინ პეტიციების მენეჯმენტის სპეციალური ჯგუფი (მთავრობის კანცელარია) დაიწყებს მსჯელობას მოქალაქეების პეტიციების განხილვასთან დაკავშირებით. ეს ინფორმაცია უნდა დაიდოს საჯაროდ სწორედ პასუხების განყოფილებაში. ამის გარდა, ცალკეული პეტიციების გარშემო სხვადასხვა პერიოდში დანიშნული სამთავრობო განხილვების დრო და მათი შედეგები ხელმისაწვდომი უნდა იყოს არამართო ყველასთვის, ზემოთ ხსენებულ განყოფილებაში, არამედ ეს ინფორმაცია უნდა დაეგზავნოს მის ინიციატორს ელექტრონულ მისამართზე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, განხილვების ბოლო ეტაპის დასრულების შემდეგ, დეტალური პასუხი უნდა გამოაქვეყნოს

მთავრობამ და იდეის მხარდამჭერებს განუმარტოს ხელისუფლების პოზიცია პეტიციით წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით. პეტიციის გათვალისწინებით მთავრობის მიერ გარკვეული ცვლილების მიღების შემთხვევაში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი მომავალში გასატარებელი პოლიტიკა და კონკრეტული ქმედებები.

ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითის გათვალისწინებით, კარგი იქნება თუ მომხმარებელი სპეციალური კითხვარის საშუალებით შეაფასებს მთავრობისგან მიღებულ პასუხს და გამოხატავს საკუთარ აზრს, რამდენად კმაყოფილია ხელისუფლების უკუკავშირით ცალკეულ პრობლემასთან დაკავშირებით.

- **გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობა:** პროცესების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია შესული პეტიციების განხილვასთან დაკავშირებით დანიშნული სამთავრობო სხდომები იყოს საჯარო (პირდაპირი ტრანსლაციის საშუალებით (Livestream)). უნდა გამოქვეყნდეს და ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს მისი სხდომის ოქმი).
- **შესახებ** - აღნიშნულ განყოფილებაში დეტალურად უნდა იყოს ახსნილი მთავრობის ონლაინ-პეტიციების დანიშნულება, მისი გამოყენება და მნიშვნელობა. პროცედურების აღწერა უნდა იყოს მოცემული როგორც ნარატიული ტექსტით, ასევე გრაფიკულად, რათა უფრო მარტივად აღსაქმელი იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. სასურველია, მომზადდეს ვებ-გვერდის გამოყენების წესების ამხსნელი ვიდეო რგოლიც. წესებისა და პროცედურების აღწერისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაკეთდეს მოქალაქეების ინფორმირებაზე იმ პერიოდთან დაკავშირებით, როდესაც უკვე პეტიცია გადის მთავრობის დღის წესრიგში. კერძოდ, დაინტერესებულმა პირებმა უნდა იცოდნენ წინასწარ რა ეტაპების გავლა უწევს ინიციატივას საჭირო მხარდამჭერების მოპოვების შემდეგ: ვის პასუხისმგებლობაშია იდეის გარშემო განხილვის მოწყობა, რა შემთხვევებსა და ვადებში წყდება დისკუსიის გამართვა, ვისთან უნდა გაიაროს მთავრობამ კონსულტაცია ცალკეული ინიციატივების გარშემო საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

ამავე განყოფილებაში მითითებული უნდა იყოს საკონტაქტო ინფორმაცია, რათა მომხმარებლებმა გარკვეული უზუსტობების ან კითხვების შემთხვევაში შეძლონ კომპეტენტური პასუხის მიღება. სასურველია, არსებობდეს ონლაინ ჩეთის ფუნქცია, რომელსაც წინასწარ განსაზღვრულ პერიოდში ეყოლება ოპერატორი და უპასუხებს მოქალაქეების მიერ დასმულ კითხვებს ელექტრონულ პეტიციებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მათ ექნებათ შესაძლებლობა აღნიშნული სერვისის გაუმჯობესების მიზნით მთავრობას მიაწოდონ საკუთარი იდეები და გაახმოვანონ მისი სარგებლობისას აღმოჩენილი ტექნიკური თუ სხვა ტიპის ხარვეზები.

გარდა ამისა, მოქალაქეებისთვის სერვისის მიწოდების გაუმჯობესებისთვის, უნდა არსებობდეს სპეციალური გამოკითხვის ფორმა, რომლის საშუალებითაც ვებ-გვერდის აქტიური მომხმარებლები დააფიქსირებენ აზრს მის ეფექტურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. ამ ბოლო ორი უკანასკნელი აპლიკაციის განთავსებით, თითოეული მოქალაქე ჩართული იქნება ვებ-პორტალის გაუმჯობესებისა და დახვეწის პროცესში, რადგან საკუთარი აზრის გამოხატვა შეეძლება როგორც პირდაპირ, ოპერატორთან გასაუბრების გზით, ასევე, ელექტრონული შეტყობინების გაგზავნით.

პირადი შეტყობინებების (SMS) სისტემა - სასურველია, ელექტრონულ პორტალზე ინტეგრირებული იყოს პირადი შეტყობინებების სისტემა. კერძოდ, სპეციალურ ნომერზე პირადი შეტყობინების გაგზავნით, მომხმარებელი გამოხატავს მზაობას მიიღოს განახლებული ინფორმაცია პეტიციების შესახებ. გარდა ამისა, პეტიციების დარეგისტრირებისას ან ხელის მოწერისას თითოეული მოქალაქე სპეციალური გრაფის მონიშვნით, დაადასტურებს, რომ მომავალში სურს მიიღოს კონკრეტული ინიციატივის გარშემო მომხდარი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია. ამის შედეგად, მას პირად ტელეფონზე მიუვა შეტყობინებები პეტიციებთან დაკავშირებული შემდეგი ტიპის ცვლილებებთან დაკავშირებით:

- ინიციატივის მიერ საჭირო მხარდაჭერის მოპოვება;
- ინიციატივისთვის მხარდამჭერთა მოპოვების ვადის ამოწურვა;
- ინიციატივის გარშემო მთავრობის მიერ დაგეგმილი განხილვის შესახებ ინფორმაცია;
- ინიციატივის გარშემო მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

პეტიციებთან დაკავშირებული ძირითადი პროცედურები - საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, აღნიშნულ პლატფორმას გარკვეული წესები უნდა ჰქონდეს:

- პეტიციის დარეგისტრირება და მასზე ხელის მოწერა შეეძლოს მხოლოდ Ichange.ge-ის დარეგისტრირებულ მომხმარებელს.
- ელექტრონულ პორტალზე (Ichange.ge) დარეგისტრირება შეიძლებოდაც მხოლოდ პირადი ნომრის მითითებით;
- პეტიციით ინიცირებული საკითხები უნდა ითვალისწინებდეს საქართველოს მთავრობის კომპეტენციას;
- თითოეული პეტიციისთვის სავალდებულო უნდა იყოს მინიმუმ 5 000 მხარდამჭერის მოგროვება - აღნიშნული რაოდენობა განსაზღვრულია იმით, რომ ელექტრონული პლატფორმის დანერგვის პროცესში საჭიროა მისი პოპულარიზაცია და ჩართულობის უზრუნველყოფა, შესაბამისად მოქალაქეების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად და შესაბამისი მოტივაციის შესაქმნელად საჭიროა ოპტიმალური ოდენობის განსაზღვრა.

გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ ქვეყანაში ინტერნეტის ხელმისაწვდომობა ჯერ კიდევ დაბალია, განსაკუთრებით რეგიონებში;

- თითოეულმა პეტიციამ საჭირო ოდენობის მხარდაჭერა უნდა მოაგროვოს 3-6 თვეში. იმ შემთხვევაში, თუ საჭირო ხმები ვადამდე ადრე შეგროვდა მთავრობა ვალდებულია მისი განხილვა დაიწყოს დაუყოვნებლივ, მხარდამჭერების მოპოვების შემდეგ.

ელექტრონული საჯარო კონსულტაციები

სამთავრობო პლატფორმის მეორე მთავარი კომპონენტი ელექტრონული კონსულტაციები იქნება. ამ განყოფილებაში მთავრობა, სამინისტრო ან სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულება (სსიპ, საქვეუწყებო დაწესებულება) გამოაცხადებს საჯარო კონსულტაციას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და მოუწოდებს მოქალაქეებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს ჩაერთონ აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით პოლიტიკის შემუშავებაში.

ონლაინ კონსულტაციების განყოფილება ძირითადად სამი ნაწილისგან იქნება შემდგარი - მიმდინარე, დასრულებული და დაგეგმილი კონსულტაციები. პირველი მათგანის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნება შემდეგი მონაცემები:

- საკითხის დასახელება;
- საკითხისა და პრობლემის აღწერა - აღწერილი იქნება ის გამოწვევები, რაც ამ მიმართულებით არსებობს და ის ძირითადი პრობლემები, რის გადაწყვეტასაც მთავრობა გეგმავს. აუცილებელია, რომ დაკონკრეტებული და კარგად განმარტებული იყოს თუ რა გავლენას ახდენს ეს საკითხი მოსახლეობაზე, რათა მოქალაქეებს აუმაღლდეთ მოტივაცია მის გადაწყვეტაში აქტიური ჩართულობისთვის;
- კონსულტაციის გამომცხადებელი სამინისტრო ან სტრუქტურული ქვედანაყოფი;
- კონსულტაციაზე პასუხისმგებელი პირი და მისი საკონტაქტო ინფორმაცია;
- კონსულტაციის დასრულების ვადა;
- სამიზნე ჯგუფი/აუდიტორია - აღსანიშნავია, რომ კონსულტაციებში მონაწილეობის მიღება შეეძლება როგორც მოქალაქეებს, ასევე, იურიდიულ პირებს (ორგანიზაციები, საჯარო დაწესებულებები, არარეგისტრირებული ორანიზაციები, სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლები, რელიგიური ჯგუფები, კერძო სექტორის

წარმომადგენლები, კვლევითი ცენტრები, პროფკავშირები), რომლებიც მანამდე დარეგისტრირებულნი იქნებიან საიდენტიფიკაციო კოდის მეშვეობით.;

- უწყებების მიერ დაგეგმილი ღონისძიებები, რომელთა განხორციელება პრობლემის გადაჭრას ისახავს მიზნად. მოქალაქეებს შეუძლიათ ელ-კონსულტაციის ფარგლებში აღნიშნული ღონისძიებებიც შეაფასონ.
- კითხვარი - შესაძლებელია სამთავრობო დაწესებულებამ მოქალაქეების მოსაზრებები წინასწარ შედგენილი კითხვარის შევსებით მიიღოს. ამ შემთხვევაში უფრო გამარტივდება მიღებული პასუხების ანალიზი. კითხვარს ადგენს თავად უწყება, საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე. მომხმარებელმა შესაძლოა ანონიმურადაც შეავსოს კითხვარი. როდესაც საბოლოო ანგარიში და სტატისტიკა გამოქვეყნდება, მათი სახელები დაფარული იქნება, თუმცა გამომხმარებელი მთლიანად იქნება გასაჯაროებული.

ონლაინ კონსულტაციის მთლიანი პროცესი შემდეგ პროცედურებს უნდა მოიცავდეს:

- **საკითხის გამოცხადება** - დასმული პრობლემის შესახებ ვებ-გვერდზე განთავსდება იმ ტიპის მონაცემები, რაც ზემოთ უკვე ჩამოთვლილია. შედეგად, მთავრობა/სამინისტრო დაიწყებს ცალკეული საკითხის გარშემო წინადადებების მიღებას;
- **მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება** - მთავრობა/სამინისტრო იწყებს დასმული საკითხის გარშემო საინფორმაციო კამპანიებს სხვადასხვა საშუალებებით - სოციალური ქსელები, ფორუმები, ტელევიზია, ინტერნეტ, ბეჭდური მედია და მოუწოდებს ყველას ცალკეული პრობლემების გარშემო საკუთარი ხედვები და წინადადებები მიაწოდონ მთავრობას/სამინისტროს. ამ გზით უზრუნველყოფილი იქნება ფართო საზოგადოების კონკრეტული საკითხით დაინტერესება, ყველა დაინტერესებული მხარის ინფორმირება და შემდგომში პოლიტიკური დაგეგმვის პროცესში მათი მაქსიმალური ჩართულობა;
- **წინადადებების მიღება და უკუკავშირი** - კონსულტაციის გამოცხადების დღიდან მოქალაქეებს შეეძლებათ საჯაროდ დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია, მიაწოდონ მთავრობას/სამინისტროს საკუთარი ინიციატივები გარკვეული პრობლემების გადასაჭრელად და ამით მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკური დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თითოეული მომხმარებლის მიერ დაფიქსირებული აზრი უნდა იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი ყველასთვის. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოქალაქეების მიერ დასმულ შეკითხვებს გვერდის ადმინისტრატორი ოპერატიულად უნდა პასუხობდეს. შედეგად, აუცილებელია მუდმივად ხდებოდეს მომხმარებლების მიერ დატოვებული კომენტარების მონიტორინგი, აღრიცხვა და საჭიროების შემთხვევაში, უკუკავშირის უზრუნველყოფა. **საჯაროდ დაწერილ კომენტარებთან ერთად, დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობა ექნებათ საკუთარი პოზიცია დააფიქსირონ კითხვარის დახმარებით.**

- **ანალიზი** - ყველა მოქალაქის მიერ მთავრობისთვის გაგზავნილი წინადადებებისა და იდეების სათანადო ყურადღების მისაქცევად, სასურველია, თავიდანვე სისტემატურად აღირიცხებოდეს შესული წინადადებები. ამასთან ერთად, საჭიროა შემდგომში მოხდეს მათი გაანალიზება, თემატური დაჯგუფება;
- **დახურვა** - წინასწარ განსაზღვრულ დროს ელექტრონული კონსულტაცია დაიხურება და შეწყდება წინადადებების მიღება. რის შედეგადაც, საკითხი გადაინაცვლებს კატეგორიაში „დასრულებული“;
- **ანგარიშის მომზადება** - მას შემდეგ რაც საკითხზე მოქალაქეების იდეების მიღება დასრულდება, მთავრობა, სამინისტრო ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელმაც გამოაცხადა კონსულტაცია, იწყებს შესული წინადადებების საბოლოო ანალიზს და გამართული კონსულტაციის გარშემო ანგარიშის მომზადებას. აღნიშნულ დოკუმენტში აღწერილი უნდა იყოს ონლაინ კონსულტაციის საკითხი და მთავრობის თავდაპირველი სტრატეგია მის მოსაგვარებლად. შემდეგ ნაჩვენები უნდა იყოს მოქალაქეებისგან თუ სხვადასხვა იურიდიული პირებისგან შემოსული ინიციატივების, კითხვებისა და მათზე გაცემული პასუხების რაოდენობა. სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად, უნდა განხილულ იქნეს საზოგადოების დამოკიდებულება და შეხედულებები დასმული პრობლემის მიმართ. სასურველია, ანგარიშში გამოიყოს მათ მიერ ინიცირებული ღონისძიებები და კონკრეტული ნაბიჯები ცალკეული გამოწვევების გადასაჭრელად. დასასრულს, აუცილებლად უნდა განიმარტოს მთავრობის საბოლოო პოზიცია და სტრატეგია დასმულ საკითხთან დაკავშირებით. აუცილებელია მოქალაქეებსა და კონსულტაციით დაინტერესებულ მხარეებს კიდევ ერთხელ განემარტოთ, თუ რა გარემოებების გათვალისწინებით მიიღო ხელისუფლებამ საბოლოო გადაწყვეტილება. ამით თვალნათელი გახდება რა დონემდე გაითვალისწინეს საზოგადოების აზრი და ინიციატივები გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა. ანგარიში უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ. ანგარიშში განცალკევებულად უნდა იყოს წარმოდგენილი საჯაროდ და კითხვარის მეშვეობით მიღებული კომენტარების ანალიზი.

გადაწყვეტილების მიღების საჯაროობა: ანგარიშის მომზადების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია საჯარო იყოს საკითხის გადასაწყვეტად დანიშნული სხდომები. კერძოდ, აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს სხდომის ღიაობა, ხოლო მისი დასრულების შემდეგ კი გამოქვეყნდეს სხდომის ოქმები.

დასრულებული ელ-კონსულტაციების შემთხვევაში ნაჩვენები უნდა იყოს:

- საკითხი, რომლის გარშემო გარკვეული პერიოდის მანძილზე საკუთარ მოსაზრებებს აგზავნიდნენ მოქალაქეები და ორგანიზაციები;
- კონსულტაციის გამოცხადებისა და დასრულების დრო;

- კონსულტაციაზე პასუხისმგებელი პირი და მისი საკონტაქტო ინფორმაცია;
- კონსულტაციის გამომცხადებელი საჯარო დაწესებულება;
- სამიზნე ჯგუფი;
- მოქალაქეების მიერ დატოვებული კომენტარები და ვებ-გვერდის ადმინისტრატორის გამოხმაურება;
- საბოლოო ანგარიში და გადაწყვეტილება.

გარდა ამისა, სასურველია, ამ განყოფილებაში განთავსებული ონლაინ კონსულტაციები დალაგებული იყოს რამდენიმე კატეგორიის მიხედვით. მაგალითად, მათი დაჯგუფება შესაძლებელია კონსულტაციის გამომცხადებელი უწყებების დასახელების, კონსულტაციის დასრულების პერიოდის მიხედვით.

მესამე კატეგორიის - დაგეგმილი - კონსულტაციების განყოფილებაში უნდა განთავსდეს საკითხის დასახელება და განსახილველი საკითხის აღწერა. ასევე, დაკონკრეტებული უნდა იყოს კონსულტაციის დაწყების სავარაუდო თარიღი, რათა მოქალაქეები უფრო მომზადებულნი შეხვდნენ მის გამომცხადებას.

გამოკითხვა: გამართულ დისკუსიებთან და მთავრობის საბოლოო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მოქალაქეების აზრის უკეთ გასაგებად, სასურველია ელექტრონულ რესურსზე განთავსებული იყოს მომხმარებელთა აზრის გამოკითხვის ფორმა. მისი შევსებით ნებისმიერი მოქალაქე შეაფასებს რამდენად კარგად და ადეკვატურად გამოიყენა ხელისუფლებამ მის მიერ მიწოდებული ინიციატივა და ზოგადად, რამდენად ნათლად აისახა საზოგადოების მოსაზრებები ცალკეულ საკითხთან დაკავშირებით პოლიტიკური დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

შესახებ და გამოყენების წესები: აუცილებელია ელ-კონსულტაციების განყოფილებაში არსებობდეს სპეციალური ქვე-კატეგორია, სადაც მოცემული იქნება აღნიშნული სერვისის ფუნქციები, როგორც ნარატიული ასევე, გრაფიკული სახით. ზემოთ აღწერილი პროცედურები აუცილებელია თანმიმდევრულად იყოს ახსნილი, ვიზუალურ და მარტივად აღსაქმელ ფორმატში.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია გამოყენების წესების გამოქვეყნება. აქ ჩამოწერილი იქნება რა ძირითადი ფაქტორები უნდა გაითვალისწინონ ელ-პორტალის მომხმარებლებმა. მაგალითად, მათ შორის შეიძლება იყოს შემდეგი წინაპირობები: კონსულტაციებში მონაწილეობა შეუძლია მხოლოდ ელ-პორტალზე დარეგისტრირებულ მომხმარებელსა და ორგანიზაციებს, კომენტარების ავტორები უნდა იყვნენ კონსტრუქციულნი, არ უნდა გამოიყენონ სიძულვილის ენა და ა.შ.

იქიდან გამომდინარე, რომ საჯარო კონსულტაციების პლატფორმა განკუთვნილია როგორც უშუალოდ მთავრობის გადაწყვეტილებების განხილვისთვის ისე საქართველოს სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისთვის (სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, საქვეუწყებო დაწესებულებები), საგულისხმოა ხაზი გაესვას ვებ-გვერდის მართვის ტექნიკურ საკითხებსაც. კერძოდ, რადგანაც ელ-პლატფორმის ზედამხედველობა მთავრობის კანცელარიაში სპეციალურ ჯგუფს უნდა დაეჭვემდებაროს, სწორედ მათ უნდა მოახდინონ უწყებრივი კოორდინაცია.

ელ-განხილვები განყოფილება

რაც შეეხება ელექტრონული პლატფორმის მესამე კომპონენტს, ელ-განხილვების განყოფილებას, მისი მთავარი დანიშნულება მოქალაქეების მიერ ქვეყანაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირების მოთხოვნა იქნება. მოქალაქეების მიერ წამოჭრილი საკითხების ეფექტური სტრუქტურირებისთვის უკეთესია თუ პორტალზე ჩამოთვლილი იქნება საჯარო დაწესებულებების დასახელება და მომხმარებლები დისკუსიას სწორედ მათ ქვეშ წარმართავენ. ამით, თავიდანვე განსაზღვრული იქნება რომელ სამთავრობო დაწესებულებას ეხება ესა თუ ის ინიციატივა.

რაც შეეხება თავად პრობლემატური თემის დასმის პროცესს, ვებ-გვერდზე რეგისტრირებულ მოქალაქეს შეეძლება მისთვის აქტუალური პრობლემა ან საკითხი განათავსოს ელექტრონულ რესურსზე. ამისთვის მან შემდეგი მონაცემები უნდა შეიყვანოს სპეციალურ ფორმაში:

- საკითხის/პრობლემის დასახელება;
- საკითხის/პრობლემის აღწერა, დასაბუთება და არგუმენტები, გამყარებული კონკრეტული ფაქტებით, დოკუმენტებითა თუ სტატისტიკური მონაცემებით.

პირველ რიგში გასათვალისწინებელია, რომ მოქალაქეების მიერ ყველა დასმული საკითხი აუცილებლად ავტომატურად უნდა ქვეყნდებოდეს ვებ-გვერდზე. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი ტექსტები, რომლებშიც მოცემულია არაკორექტული და უტაქტო ტერმინები. შედეგად, არ უნდა ხდებოდეს ინიციატივების შეზღუდვა მათი შინაარსის გამო.

ცალკეული პრობლემების დასმისა და მათი გამოქვეყნების შემდეგ დანარჩენ მოქალაქეებს საშუალება ექნებათ ჩაერთონ დისკუსიაში და საკუთარი პოზიცია დააფიქსირონ ღიად, გამოხატონ რამდენად პრიორიტეტულია მათთვის აღნიშნული პრობლემა თუ გამოწვევა. ამით გამომჟღავნდება, რამდენად რელევანტურია წამოჭრილი საკითხი და რამდენად სერიოზული გავლენა აქვს მას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ამის უკეთ გამოსავლენად, თითოეული პრობლემის აღწერის ქვეშ, ინტეგრირებული უნდა იყოს ხმის მიცემის საშუალება (Voting), რის მეშვეობითაც მოქალაქეები მხარდაჭერას გამოუცხადებენ აღნიშნულ ინიციატივას. იმისთვის, რომ ცალკეული პრობლემა კონკრეტული უწყების განხილვის საგანი გახდეს, თითოეულ მათგანს მინიმუმ 1000-მა მომხმარებელმა უნდა მისცეს ხმა. შესაბამისად მოქალაქეების მიერ გაჟღერებულ საკითხებზე შესაძლებელი იქნება როგორც ხმის მიცემა, ასევე საკუთარი პოზიციის დაფიქსირება.

საჭირო მხარდაჭერის მოპოვების შემდეგ, ცალკეული პრობლემის აღწერა პორტალზე პასუხისმგებელი პირის/ადმინისტრატორის მიერ გადაეგზავნება შესაბამისი საჯარო დაწესებულების იმ პასუხისმგებელ უწყებას, რომელსაც მიმართავდა მხარდაჭერილი იდეის ავტორი.

ადრესატი სამთავრობო უწყების შემდეგი რეაგირება ორი სახის შეიძლება იყოს:

- პირველ შემთხვევაში იგი მხოლოდ საკითხის მიმართ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებით შემოიფარგლება და შეეცდება საზოგადოებას ხელახლა განუმარტოს საკუთარი ხედვა კონკრეტული პრობლემის მიმართ. დაწესებულების პასუხისმგებელი პირი ვალდებული უნდა იყოს საჯაროდ გასცეს პასუხი საკითხის ინიციატორებსა და მხარდამჭერებს. დეტალურად და ამომწურავად უნდა იყოს დასაბუთებული უწყების პოზიცია. დაწესებულებამ საკუთარი არგუმენტები უნდა გაამყაროს ოფიციალური დოკუმენტებით, სტატისტიკური მონაცემებითა და არსებული რეალობის ანალიზით. პასუხში, უნდა ჩანდეს მიღებული გადაწყვეტილების ლოგიკურობა;
- იმ შემთხვევაში, თუ საჯარო დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმებიან მიმართვის ავტორთა მიერ წამოჭრილი საკითხის სიმწვავეს, აუცილებლობას თუ მნიშვნელობას, მათ აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა დაიწყონ შესაბამისი დოკუმენტის შემუშავების პროცედურა (საჯარო ადმინისტრაციული წარმოება). ამ გზით შემუშავებული დოკუმენტი უნდა გამოქვეყნდეს საჯარო კონსულტაციების განყოფილებაში რათა მიიღოს დასრულებული სახე. აღნიშნული დოკუმენტი ეგზავნება მთავრობის კანცელარიას, კონკრეტულად, მოქალაქის პლატფორმის

ზედამხედველ ჯგუფს, რომლის წევრებიც დაუყოვნებლივ განათავსებენ დისკუსიის განცხადებას შესაბამის განყოფილებაში.

ამგვარად, ელ-კონსულტაციის დაწყებისთვის მოქალაქეები თავად შეარჩევენ საკითხს. როგორც უკვე ზემოთ განვიხილეთ, კონსულტაციის პროცესს მთავრობა ორი გზით იწყებს: ერთ შემთხვევაში, თავად ახდენს პრობლემის იდენტიფიკაციას, მეორე შემთხვევაში კი ამის პრეროგატივა მოქალაქეებს გააჩნიათ - ამაში სწორედ ზემოთ ჩამოყალიბებული პროცედურა იგულისხმება.

დანართი 1: ელექტრონული ჩართულობის პორტალის ლოგიკური ჩარჩო

ელექტრონული ჩართულობის პორტალი
www.ichange.ge




ელ-კონსულტაციები




ელ-პეტიციები




ელ-განხილვები





ელექტრონული განხილვები (C2G)

მოქალაქე აფიქსირებს პრობლემატურ საკითხს და იწყებს მის საჯარო განხილვას (მაგ. ხუდონჰესის პროექტის გარემოზე ზემოქმედების საფრთხე)



პრობლემის განხილვის აუცილებლობას ონლაინ გამოკითხვის ფორმით მხარს უჭერს პორტალის 1000 მომხმარებელი


შედეგი

საზოგადოების ჩართულობით განხილული პრობლემა ან შემუშავებული საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი



უწყება საჯაროდ აფიქსირებს საკუთარ პოზიციას პორტალზე შესაბამის თემაში

უწყება ქმნის საკითხის შესატყვის დოკუმენტს და ნიშნავს საჯარო კონსულტაციას



პორტალის ადმინისტრაცია განსახილველ საკითხს უგზავნის პასუხისმგებელ უწყებას, საკუთარი პოზიციის ფორმულირების ან საჯარო კონსულტაციის დაწყების მიზნით

დანართი 2: ონლაინ პეტიციების საუკეთესო გამოცდილება

ონლაინ პეტიციები აშშ-ში

ichange.ge-ის ერთ-ერთი კომპონენტი პეტიციების აპლიკაციის ინტეგრაცია იქნება. შესაბამისად, საგულისხმოა საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებაც. ამ მხრივ საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი, თეთრი სახლის ადმინისტრაციის ვებ-გვერდზე არსებული პეტიციების განყოფილების – **„ჩვენ ხალხი“ (“We the people”)** – სახით.

The screenshot displays the 'We the People' website interface. At the top, there is a green navigation bar with the logo 'WE the PEOPLE YOUR VOICE IN OUR GOVERNMENT' and a 'Share Your Feedback' button. Below the navigation bar are four main menu items: 'CREATE A PETITION', 'OPEN PETITIONS', 'RESPONSES', and 'HOW & WHY'. A 'Log in | Create an Account' link is also present. The main content area features a large banner with the text 'Giving all Americans a way to engage their government on the issues that matter to them. Get Started' and two buttons: 'VIEW PETITIONS' and 'START A PETITION'. Below the banner, there is a section titled 'We the People in Three Easy Steps' with three columns: Step 1 (Browse open petitions), Step 2 (Start a new petition), and Step 3 (View all responses). On the right side, there is a 'Featured Petition Responses' section with a 'SEE ALL' link, listing several petitions such as 'A Message from President Obama about Your Petition on Reducing Gun Violence' and 'Combatting Online Piracy while Protecting an Open and Innovative Internet'. Below that is a 'Most Recent Petitions' section with another 'SEE ALL' link, featuring a petition titled 'To be held Accountable and Impeached. Name a US Naval Vessel in Honor of US Navy Seal Chris Kyle. USS Chris Kyle. eliminate high-stakes testing in the American education system.'

აშშ-ის ონლაინ პეტიციების პლატფორმა

თეთრი სახლის ელექტრონულ პლატფორმაზე რამდენიმე საინტერესო ფუნქცია და სერვისი არის დანერგილი:

1. პეტიციის დარეგისტრირება – პეტიციის დარეგისტრირება შეუძლიათ მხოლოდ ვებ-გვერდზე დარეგისტრირებულ მომხმარებლებს. ანგარიშის შექმნა კი მარტივია: საკმარისია მხოლოდ ელექტრონული მისამართის, სახელისა და გვარის მითითება. ავტორიზაციის გავლის შემდეგ, მომხმარებელს შეუძლია დაიწყოს პეტიციის ჩამოყალიბება. რისთვისაც რამდენიმე ეტაპი უნდა გაიაროს.

- **პეტიციის შესახებ ძირითადი ინფორმაცია:** პირველ რიგში მომხმარებელი უთითებს იდეის სახელწოდებას და ჩამოთვლილი საკითხებიდან ნიშნავს იმ სამ კატეგორიას/საკითხს, რომელიც ყველაზე მეტად შინაარსობრივად შეეფერება იდეას. ამით, ხდება შესული პეტიციების კატეგორიზაცია. რაც ამარტივებს ნავიგაციას არამართო ვებ-გვერდის ადმინისტრაციისთვის, არამედ თავად მომხმარებლებისათვის;



- **იდენტური შინაარსის პეტიციის არსებობის მოძიება:** მომხმარებლის მიერ იდეის შესახებ ძირითადი მონაცემების შეყვანის შემდგომ, ვებ-გვერდი თავად ამოწმებს უკვე არსებობს თუ არა მსგავსი პეტიცია ელექტრონულ რესურსზე. იდენტური პეტიციის აღმოჩენის შემთხვევაში მომხმარებელს შეუძლია დამატებითი პეტიციის შექმნის ნაცვლად, უბრალოდ ხელი მოაწეროს და შეუერთდეს არსებულ ინიციატივას. სხვა შემთხვევაში მოქალაქე აგრძელებს საკუთარი წინადადების დარეგისტრირებას;
- **პეტიციის აღწერა:** შემდეგ ეტაპზე პეტიციის ავტორი წერს საკუთარი ინიციატივის აღწერას. აღსანიშნავია, რომ ვებ-გვერდის ადმინისტრაცია პეტიციის აღწერის ეფექტურობისთვის მომხმარებელს რამდენიმე რჩევას სთავაზობს: პოზიციის მკაფიოდ ჩამოყალიბება, დამატებითი ინფორმაციის, მათ შორის, ამ საკითხის გარშემო ჩატარებული კვლევის შედეგების დამოწმება. ასევე, სასურველია მთლიანი ტექსტი არ

აღმატებოდეს 800 სიტყვას. საგულისხმოა, რომ პეტიციების ინიცირება ორგანიზაციებსაც შეუძლიათ. ამ შემთხვევაში პეტიციის ავტორმა აუცილებლად უნდა აღნიშნოს აღწერაში, რომ იგი კონკრეტული ორგანიზაციის სახელით აქვეყნებს იდეას.

ინიციატივის აღწერასთან ერთად, მომხმარებელს შეუძლია იდეას დაურთოს საკვანძო სიტყვებიც, რაც ამარტივებს პეტიციის მოძიებას. გვერდის ადმინისტრატორების განმარტებით, სასურველია მომხმარებლებმა არ დაურთონ აღწერითი წინადადებები და მხოლოდ იდეასთან პირდაპირ კავშირში მყოფი ცალკეული სიტყვებით შემოიფარგლონ. მაგალითად, თუ პეტიცია ენერგეტიკულ პოლიტიკას ეხება, საკვანძო სიტყვებად შეიძლება დაურთონ „ნავთობი“, „მზის ენერჯია“ და ა.შ.


ონლაინ პეტიციის გამოქვეყნება

- **პეტიციის გამოქვეყნება:** მომხმარებლის მიერ პეტიციის შესახებ დეტალური ინფორმაციის დამოწმების შემდეგ, იგი გადადის საბოლოო ეტაპზე. ამ შემთხვევაში ავტორს კიდევ ერთხელ ეძლევა საშუალება გადახედოს მონაცემებს, შეიტანოს საბოლოო

კორექტივები. ასევე, ვებ-გვერდი მოქალაქეს უზენეს რამდენი ხელმოწერა სჭირდება მის პეტიციას და რა დრომდე უნდა მოახერხოს მხარდაჭერის მოპოვება.

პეტიციის ინიცირების შემდეგ, ავტორი საკუთარ ელექტრონულ ფოსტაზე მიიღებს წერილს, სადაც მითითებულია ვებ-გვერდზე ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნების წინაპირობა. კერძოდ, იმისთვის რომ ინიციატივა საბოლოოდ, ყველასთვის ღიად გამოქვეყნდეს ადმინისტრაციის ელექტრონულ რესურსზე, მომხმარებელმა 30 დღეში უნდა შეაგროვოს 150 ხელმოწერა. მხარდამჭერების მოსაპოვებლად მას შეუძლია სხვადასხვა სოციალური ქსელების დამხმარებით, გაავრცელოს პეტიციის ბმული. საჭირო რაოდენობის ხელმოწერების შეგროვების შემდეგ პეტიცია ავტომატურად ქვეყნდება ვებ-გვერდზე და ყველასთვის ხელმისაწვდომი ხდება. თითოეულ ინიციატივას 30 დღეში 100 ათასმა ადამიანმა უნდა მოაწეროს ხელი იმისათვის, რომ აშშ-ის მთავრობამ დაიწყოს ინიციატივის განხილვა.


2. საინფორმაციო ვიდეო - ვებ-გვერდზე განთავსებულია საინფორმაციო ვიდეო. სადაც ვიზუალურადაა ნაჩვენები ელექტრონულ რესურსზე ანგარიშის შექმნის, სასურველ საკითხზე პეტიციის დარეგისტრირებისა და ინიციატივაზე ხელის მოწერის პროცედურები. მართალია, ვებ-გვერდზე განთავსებულია მისი სერვისების გამოყენების ინსტრუქციის ტექსტიც, თუმცა მსგავსი ვიდეოები კიდევ უფრო მარტივად აწვდის ინფორმაციას მოქალაქეებს.



ონლაინ-პეტიციების სამიზნო სისტემა საკითხების მიხედვით

3. პეტიციაზე ხელის მოწერა – საკუთარი იდეის ინიცირებასთან ერთად, მომხმარებელს შეუძლია უკვე არსებულ პეტიციაზე ხელის მოწერა და ამით გარკვეული ინიციატივების მხარდაჭერა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია პეტიციების

სადიებო სისტემა – დაინტერესებულ პირს შეუძლია ცალკეული ტერმინების მითითებით მონახოს მისთვის საინტერესო საკითხზე შექმნილი ინიციატივა. იდეები ელექტრონული რესურსის ადმინისტრატორის მიერ დალაგებულია საკითხების მიხედვით და ფილტრის დახმარებით შესაძლებელია მათი მოძიება.




ოზამას ადმინისტრაციის პასუხები პეტიციებზე

4. პასუხები პეტიციაზე – მნიშვნელოვანია ვებ-გვერდის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს უკუკავშირი იმ პეტიციებზე, რომლებმაც საკმარისი მხარდაჭერა მოიპოვეს და დააგროვეს მითითებული რაოდენობის ხელმოწერა. ამ მხრივ, საინტერესოა ოზამას ადმინისტრაციის მოქმედება. ელექტრონული რესურსის პირველივე გვერდზე ცალკე განყოფილებაა სახელწოდებით „პასუხები“, სადაც განთავსებულია მთავრობის გამოხმაურებები გასულ პეტიციებზე. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ისინი ყველა დაინტერესებული პირისთვის საჯარო და ხელმისაწვდომია.

ადმინისტრაციის პასუხების გაცნობამ აჩვენა, რომ გარკვეულ შემთხვევებში კონკრეტულ საკითხზე მომუშავე თანამდებობის პირი ეხმაურება პეტიციის ავტორსა და მის მხარდამჭერებს.

რაც შეეხება თავად პასუხის ფორმას, ზოგიერთ შემთხვევაში გამოხმაურების ავტორი კიდევ ერთხელ განმარტავს ცალკეულ საკითხთან დაკავშირებით მთავრობის პოზიციას, რისთვისაც იშველიებს როგორც პრეზიდენტის, ასევე, მთავრობის სხვა წარმომადგენლების განცხადებებს, მთავრობის ოფიციალურ დოკუმენტებს. სხვა შემთხვევებში, პასუხში მოცემულია ცალკეული პრობლემის გადასაჭრელად რა კონკრეტული ღონისძიებების გატარებას გეგმავს მთავრობა მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში.



ობამას ადმინისტრაციის პასუხი – ახსნილია ონლაინ-პეტიციის მიერ წამოჭრილი პრობლემის გარშემო მთავრობის გეგმება

საგულისხმოა კიდევ ერთი ინოვაცია: თითქმის ყველა პასუხს თან ახლავს კითხვარი, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელი აფასებს, რამდენად ამომწურავი პასუხი მიიღო მთავრობისგან, გაიგო თუ არა პეტიციის საკითხის გარშემო დამატებითი ინფორმაცია. ცალკეული პეტიციის და მასზე გამოხმაურების შეფასების შემდეგ, მოქალაქეს შეუძლია ამავე კითხვართ შეაფასოს თავად ვებ-გვერდის ეფექტური ფუნქციონირება და საკუთარი მოსაზრებები გაუგზავნოს მთავრობას პორტალთან დაკავშირებით.

Tell Us What You Think About We the People and the Petition Response on Legalization of Marijuana

You recently received a response from the Obama Administration about a petition you signed on the We the People platform on WhiteHouse.gov on the legalization of marijuana. Fill out the survey below to let us know what you thought of the response and the We the People platform generally.

Even if you don't agree with the Obama Administration's response, was it helpful to hear the Obama Administration's position on this issue:

Yes

No

Do you think the petition response adequately addressed the concerns raised in the petition you signed:

Yes

No

Did you learn something new about the Administration's policies in this response:

Yes

No

Please rate your overall experience using the We the People platform on a scale of 1-10 (1 being very poor and 10 being excellent):

Would you consider creating or signing another We the People petition in the future:

Yes

No

Please provide any additional comments about the We the People petitions system:

სპეციალური გამოკითხვა მთავრობის პასუხის შესაფასებლად

5. დეტალური ინფორმაცია ვებ-გვერდის გამოყენების შესახებ: ვებ-გვერდზე შექმნილია ცალკე განყოფილება „როგორ და რატომ“, სადაც მოცემულია პეტიციების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია. პირველ რიგში, აღწერილია თავად ინიციატივის მნიშვნელობა და ამ კუთხით არსებული საკანონმდებლო ბაზა. შესავალთან ერთად, განთავსებულია პეტიციების დარეგისტრირების ყველა ეტაპის ნარატიული აღწერა, ხელმოწერების შესაგროვებლად არსებული პროცედურები და მთავრობის გამოხმაურებასთან დაკავშირებული ძირითადი დეტალები.

ამასთან ერთად, მოცემულია „ხშირად დასმული კითხვების“ ქვე-განყოფილება, სადაც განმარტებულია რეგისტრაციასთან, პეტიციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებული საკითხები, განსაზღვრულია აღნიშნული ელ-რესურსის მიზანი, მასში მონაწილეობის

მნიშვნელობა, აღწერილია მთავრობის მიერ მოქალაქეებისთვის უკუკავშირის უზრუნველყოფისთვის საჭირო მექანიზმები და დრო, ვებ-გვერდის ადმინისტრაციის მხრიდან პლატფორმის ზედამხედველობის დეტალები და სხვა დამატებითი საკითხები.

მნიშვნელოვანია, ვებ-გვერდზე მონაწილეობის წესების გამოქვეყნებაც. კერძოდ, მაგ. განმარტებულია, რომ ელექტრონული რესურსის სათანადო გამოყენებისთვის საჭიროა მომხმარებელმა ნამდვილი ელექტრონული ფოსტით შექმნას საკუთარი ანგარიში. ყალბი ელ-მისამართის მითითების შემთხვევაში მოქალაქე ვერ შეძლებს ანგარიშის გახსნას. არსებობს ასაკობრივი შეზღუდვაც: მომხმარებელი აუცილებლად ცამეტი ან მეტი წლის უნდა იყოს. გარდა ამისა, ერთ ადამიანს მხოლოდ ერთი ანგარიშის შექმნა შეუძლია. ადმინისტრაცია იტოვებს უფლებას, რომ დაბლოკოს იმ IP მისამართების ხელმისაწვდომობა ვებ-გვერდის სერვისებზე, ვინც შემჩნეული იქნება მრავალი ანგარიშების შექმნასა და მათი მეშვეობით პეტიციების ხელმოწერების ხელოვნურ ზრდაში.

მონაწილეობასთან ერთად, ვებ-გვერდზე განთავსებულია მოდერაციის წესები. პირველ რიგში განმარტებულია, რომ ადმინისტრატორი თვალს ადევნებს პეტიციების მიერ საჭირო ოდენობის ხელმოწერების დროულად შეგროვებას. ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავად პეტიციების მოთხოვნებს. არ დაიშვება ისეთი ინიციატივები, რომლებიც მოითხოვენ კომერციული საქონლისა და სერვისების შესყიდვას, არჩეული კანდიდატების მხარდაჭერას ან ოპონირებას და ა.შ. შეზღუდვები მყარდება ისეთი პეტიციების გამოქვეყნებაზე, რომელთა აღწერა აზიანებს და ვნებს რომელიმე ინდივიდს ან ჯგუფს, შეიცავს შეურაცხმყოფელ განცხადებებს; ადამიანის პირად საიდუმლოს ან უხამს მასალებს.

იმ შემთხვევაში თუ ინიციატივა მონაწილეობის წესების დარღვევის გამო გვერდიდან მოიხსნა, ავტორს აუცილებლად მისდის შეტყობინება, რის შემდეგაც კიდევ აქვს საშუალება მოითხოვოს მისი პეტიციის გადახედვა და მასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების შეცვლა. ამის ერთ-ერთი გზა კიდევ ერთი პეტიციის შექმნაა – ამ შემთხვევაშიც არ უნდა იყოს დარღვეული მონაწილეობის წესები. ამასთან ერთად, მას შეუძლია მთავრობასთან დაკავშირების სხვა გზები სცადოს. ამ ალტერნატიული საშუალებების შესახებ ინფორმაცია კი თავად ელექტრონულ რესურსზევეა განთავსებული.

Introduction

Step By Step Guide

FAQ's

Terms of Participation

Moderation Policy

Contact the White House

Other Ways of Contacting the White House

We the People is a new tool on WhiteHouse.gov that gives all Americans a way call on the Obama Administration to take action on a range of important issues facing our country. The White House has always accepted petitions electronically and through the mail and We the People won't change the traditional ways Americans petition the White House. Messages and petitions submitted to the White House through the White House Correspondence Office will continue to receive the same consideration they were given prior to We the People.

If you'd prefer not to use this tool, there are a number of ways you can submit a petition or voice your concerns and ideas to the White House.

Contact Form on WhiteHouse.gov

Anyone can contact the White House at WhiteHouse.gov/Contact. If you are an organization submitting comments on behalf of your membership, please use our [Organization Contact Form](#).

Mail

The White House
1600 Pennsylvania Avenue NW
Washington, DC 20500

Please include your e-mail address

Phone Numbers

Comments: 202-456-1111

Switchboard: 202-456-1414

FAX: 202-456-2461

ინფორმაცია ადმინისტრაციასთან დაკავშირების სხვა გზების შესახებ

6. თეთრ სახლთან დაკავშირების სხვა გზები:

- **საკონტაქტო ფორმა** – მომხმარებლებს შეუძლიათ სპეციალური საკონტაქტო ფორმის შევსებით, საკუთარი მოსაზრებები და კომენტარები გაუგზავნონ მთავრობას;
- **საკონტაქტო ფორმა ორგანიზაციებისთვის** - სპეციალური საკონტაქტო ფორმა განთავსებული ორგანიზაციებისთვის;
- **საკონტაქტო ინფორმაცია** - ვებ-გვერდზე მოცემულია თეთრი სახლის მისამართი, ტელეფონის, Fax-ის ნომრები, ელექტრონული მისამართი. თანაც, მითითებულია, რომ მოქალაქეებს შეუძლიათ პეტიციების გამოქვეყნების ნაცვლად საკუთარი მოსაზრებები და ინიციატივები მთავრობას ელექტრონული ფოსტით ან პირადი შეტყობინებით მიაწოდონ.

7. გამოკითხვა – ელექტრონულ რესურსზე დანერგილი სერვისების გაუმჯობესების მიზნით, ვებ-გვერდის ადმინისტრაციას განთავსებული აქვს კომენტარების გაგზავნის საშუალება. ამით მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს გამოთქვას საკუთარი შენიშვნა ან სხვა ტიპის კომენტარი დანერგილ აპლიკაციებთან დაკავშირებით და შეაფასონ მათი ფუნქციონირების ეფექტურობა.

ონლაინ პეტიციები დიდ ბრიტანეთში

დიდი ბრიტანეთის მთავრობის გვერდზე სპეციალური განყოფილებაა („მთავრობა და დემოკრატია“) დათმობილი პეტიციებისთვის. გასათვალისწინებელია, რომ პეტიციების შესაქმნელად ან რომელიმე მათგანზე ხელის მოსაწერად აუცილებელია ბრიტანეთის მოქალაქეობა ან დიდ ბრიტანეთში ცხოვრება.

The screenshot shows the HM Government e-petitions website. At the top, there is the HM Government logo and navigation links for Home and Accessibility. The main heading is "e-petitions – create and sign petitions online". Below this is a search bar with the text "Search for an e-petition to sign" and a purple "Search" button. There are also links to "View all e-petitions" and "View e-petitions by government department".

The "Trending e-petitions" section lists the most active petitions in the last hour. The data is as follows:

Petition Title	Signed in the last hour	Total Signatures
The Oliver King Foundation - SADS	39	102,567
Stop the Abolition of Disability Living Allowance for Personal Independence Payments	26	26,605
We call for a Cumulative Impact Assessment of Welfare Reform, and a New Deal for sick & disabled ...	26	17,371
Road Safety - Driving Test and Highway Code	24	11,988
Stop mass immigration from Bulgarian and Romanians in 2014, when EU restrictions on immigration	23	-
Electrification between Bedwyn to London	22	-

ონლაინ პეტიციების საძიებო სისტემა

მომხმარებელს საკუთარი პეტიციის ინიცირებამდე შესაძლებლობა აქვს გაეცნოს სხვა პეტიციებს. ამისთვის, ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია ელექტრონული პეტიციების საძიებო სისტემა. საგულისხმოა, რომ ონლაინ ინიციატივების მთლიანი ბაზის გარდა,

მომხმარებლისთვის ნავიგაციის გასამარტივებლად, შესული პეტიციები დალაგებულია ადრესატი სამთავრობო დაწესებულებების მიხედვით.

ამასთან ერთად, ელექტრონულ პორტალზე შესული ინიციატივები სამ კატეგორიად არის დაჯგუფებული:

- ღია – ინიციატივები რომელთა ხელმოწერის შეგროვება ჯერ კიდევ არ დასრულებულა;
- დახურული – პეტიციები, რომელთა მხარდამჭერთა შეგროვების ვადა ამოიწურა;
- უარყოფილი – ინიციატივები, რომლებიც მთავრობამ უარყო ცალკეული წესების დარღვევის გამო.

The screenshot shows the HM Government e-petitions website. At the top, there is the HM Government logo and a search bar for published e-petitions. Below the search bar, the page is titled "All e-petitions" and is divided into three categories: "Open" (6,247), "Closed" (12,821), and "Rejected" (16,645). A list of e-petitions is displayed, with the following data extracted from the table:


e-petition name	Signatures	Closing
Reconsider West Coast Mainline franchise decision	174,503	17/02/2013
Stop the badger cull	168,775	07/09/2013
Return VAT on Air Ambulance fuel payments	154,436	10/02/2013
Save Childrens Cardiac Surgery at the EMCHC at Glenfield Leicester	108,501	06/07/2013
Stop the beer duty escalator	107,056	15/02/2013
The Oliver King Foundation - SADS	102,669	10/02/2013
Restoration of Age Related Tax Allowances	73,282	22/03/2013
Nurses Registration Fees	69,430	21/05/2013

At the bottom of the screenshot, there is a caption in Georgian: "კატეგორიებად დაჯგუფებული ონლაინ პეტიციები".

გარდა ამისა, მითითებულია სამივე კატეგორიის პეტიციების რაოდენობა. თითოეული პეტიციის აღწერასთან ერთად, ვებ-გვერდზე მოცემულია ამ დროისთვის შეგროვებული ხელმოწერების ოდენობა, ინიციატორის სახელი და გვარი, პეტიციის მხარდამჭერთა მოპოვების საბოლოო ვადა, ინტეგრირებულია სოციალურ ქსელებში (Twitter, LinkedIn, Facebook) ინიციატივის გავრცელების საშუალებები.

ასევე, იმ პეტიციების შემთხვევაში, რომლებმაც ვადაზე ადრე მოახერხეს 100 000 ხელმოწერის შეგროვება, მითითებულია, რომ იგი განსახილველად გადაეცემა თემთა პალატის შესაბამის კომიტეტს და კანონმდებლებმა შესაძლოა აღნიშნული ინიციატივა კომიტეტის ყოველკვირიულ შეხვედრაზე განიხილონ. უფრო კონკრეტულად, გთავაზობთ იმ პროცედურების აღწერას, რომელთა გავლაც შეიძლება მოუწიოს 100 000 მხარდამჭერის მქონე პეტიციას საპარლამენტო კომიტეტის (Backbench Business Committee) განხილვამდე.

e-Petitions and the Backbench Business Committee



ელექტრონული პეტიციების კომიტეტში საკითხების განხილვის სტრუქტურა

პირველი ეტაპი: მას შემდეგ რაც ინიციატივა საჭირო საზოგადოებრივ მხარდაჭერას მოიპოვებს პალატის ლიდერი (**Leader of the House**) ამცნობს საპარლამენტო კომიტეტს მის შესახებ. თუმცა, ეს ავტომატურად არ გულისხმობს იმას, რომ პეტიციის საკითხს თემთა პალატა განიხილავს. უბრალოდ მის გარშემო შესაძლოა დისკუსია წამოიჭრას კომიტეტის შიგნით.

მეორე ეტაპი: შემდეგ პეტიციას წარადგენენ კომიტეტის წინაშე ყოველკვირეულ შეხვედრაზე და კანონმდებლები წყვეტენ საკითხის აქტუალობას. იმ შემთხვევაში თუ არცერთი პარლამენტარი არ დაინტერესდა პეტიციის მიერ წამოჭრილი პრობლემით, საკითხის შემდეგი განხილვა შეფერხდება. საპირისპიროდ, კომიტეტის შეხვედრაზე კანონმდებლების გამოცხადების შემთხვევაში ისინი გადაწყვეტენ პეტიციის ბედს – გაიტანენ თუ არა საკომიტეტო მოსმენაზე. აღსანიშნავია, რომ კომიტეტის შეხვედრები პირდაპირ ეთერში გადაიციემა პარლამენტის არხზე.

მესამე ეტაპი: მესამე ეტაპზე კომიტეტის წევრები წყვეტენ გამართონ თუ არა ელექტრონული ინიციატივის შესახებ დისკუსია. ამ დროს ისინი შემდეგი კრიტერიუმებით აფასებენ პეტიციებს:

- საკითხიდან გამომდინარე, რატომ არის დებატების გამართვა მნიშვნელოვანი;
- სავარაუდოდ პარლამენტის რამდენი წევრი გამოთქვამს დებატებში მონაწილეობის მიღების სურვილს;
- დებატები მანამდე იყო თუ არა გამართული ან თუ იგეგმება მისი გამართვა სხვა გზების საშუალებით.

მეოთხე ეტაპი: საკითხის განხილვასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, კომიტეტი საკუთარი განრიგიდან გამომდინარე, ნიშნავს დებატების დროს და აქვეყნებს თარიღსა და სხვა დეტალებს ვებ-გვერდზე. იმ შემთხვევაში თუ კომიტეტის წევრებმა დებატების დანიშვნა მიზანშეწონილად არ ჩათვალეს, პეტიციის სტატუსის განხილვა შემდეგ შეხვედრებზე მაინც არის შესაძლებელი – ინიციატივა არ იკარგება და მომავალში სხვა კანონმდებლების დაინტერესების შემთხვევაში, შესაძლოა კიდევ რამდენჯერმე მოხვდეს კომიტეტის დღის წესრიგში. გარდა ამ შემთხვევებისა, შესაძლოა კომიტეტის გადატვირთული გრაფიკის გამოც ვერ მოხერხდეს დებატების თარიღზე შეთანხმება.

მეხუთე ეტაპი: კომიტეტის წევრები ნიშნავენ დებატების თარიღს რაც ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე. კანონმდებლები განიხილავენ პეტიციის საკითხს.

e-petition

This e-petition is now closed

Full disclosure of all government documents relating to 1989 Hillsborough disaster

Responsible department: Home Office

Full government disclosure and publication of all documents, discussions and reports relating to the 1989 Hillsborough disaster.

"As requested by information commissioner Christopher Graham"

Number of signatures:
156,214

Created by:
Brian Irvine

Closing:
09/08/2012 10:30

This e-petition has received the following response:

This e-petition has reached 100,000 signatures. The Government has notified the Backbench Business Committee in the House of Commons who will consider its suitability for debate when Parliament returns in September. This e-petition will remain live, and people will be able to continue adding their signatures.

In the meantime, we would like to update you on the Government's current position on the substance of this e-petition:

The Government has confirmed its commitment to full transparency about the Hillsborough disaster through full public disclosure. All papers had previously been shared with the Hillsborough Independent Panel. The Government is happy for all the papers, including Cabinet papers, to be released as soon as the Panel so decides, in consultation with the families. We expect them to be shared with the Hillsborough families first and then to the wider public.

Steve Rotheram MP was allocated a half-day in the Chamber in Backbench time and the debate took place on 17 October 2011. A transcript of the debate can be found at <http://www.publications.parliament.uk/pa/cm/201011/cmhansrd/cm111017/debtext/111017-0002.htm#11101715000001>

პეტიციის განხილვის შედეგების აღწერა

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო განხილვის შედეგები ხელმისაწვდომია საჯაროდ. კერძოდ, ვებ-გვერდის ადმინისტრაცია საზოგადოებას აცნობს ინფორმაციას იმის შესახებ თუ რა ეტაპზეა ინიციატივის განხილვა, როდის განიხილეს კანონმდებლებმა და რა პოზიციები გააჩნიათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ზოგიერთ შემთხვევაში განთავსებულია დიდი ბრიტანეთის პარლამენტის ვებ-გვერდზე არსებული კომიტეტების იმ შეხვედრების სტენოგრაფიული ჩანაწერი, რომელზეც სწორედ კონკრეტული პეტიციით წამოჭრილი პრობლემა იქნა განხილული. ამგვარი მიდგომა კიდევ უფრო გამჭვირვალეს და მოსახლეობის ჩართულობაზე ორიენტირებულს ხდის ხელისუფლების პოლიტიკას. წარმატებული პეტიციის შემთხვევაში გვერდის ადმინისტრაცია ხელმისაწვდომს ხდის

კანონმდებელთა გადაწყვეტილებას კონკრეტულ ინიციატივასთან დაკავშირებით. განსაზღვრულია აგრეთვე ის თუ კონკრეტულად რა ღონისძიებების გატარება იგეგმება მოქალაქეთა მიერ წამოჭრილ საკითხთან მიმართებაში.

რაც შეეხება პეტიციაზე ხელის მოწერისთვის საჭირო პროცედურებს, ნებისმიერი ინიციატივის მხარდასაჭერად, თითოეულ მოქალაქეს შეჰყავს შემდეგი მონაცემები: სახელი და გვარი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი და ადასტურებს დიდი ბრიტანეთის მოქალაქეა თუ მისი მუდმივი მაცხოვრებელი.

პეტიციის დასარეგისტრირებლად კი მომხმარებელმა რამდენიმე ეტაპი უნდა გაიაროს:

1. იდენტური პეტიციების მოძებნა/გადამოწმება: მოქალაქის მიერ პეტიციის შექმნამდე, საძიებო სისტემაში საკუთარი იდეის სახელის მითითებით, უნდა გადაამოწმოს მსგავსი ინიციატივის არსებობა. იდენტური პეტიციის აღმოჩენის შემთხვევაში მომხმარებელს შეუძლია დამატებითი პეტიციის შექმნის ნაცვლად, უბრალოდ ხელი მოაწეროს და შეუერთდეს მანამდე განთავსებულ იდეას. სხვა შემთხვევაში, იგი აგრძელებს საკუთარი წინადადების დარეგისტრირებას;

2. პეტიციის დარეგისტრირების დაწყება – ძირითადი დეტალები: ამ ეტაპზე მომხმარებელს უწევს ელექტრონული პეტიციის შესახებ შემდეგი მონაცემების შეყვანა: სათაური, სამინისტრო/დეპარტამენტი, რომელსაც უგზავნის პეტიციას (მოქალაქისთვის უზრუნველყოფილია მათი ჩამონათვალი), აღწერა (მაქსიმუმ 1000 სიტყვა), ხელმოწერების შეგროვების ვადა. საგულისხმოა, რომ დიდი ბრიტანეთის შემთხვევაში, მოქალაქე თავად წყვეტს რამდენ ხანში მოიპოვებს საჭირო მხარდაჭერას (3, 6, 9 ან 12 თვე). ამასთან ერთად, თითოეული ველის შესავსებად, მოცემულია შესაბამისი რჩევები, რითაც მოქალაქეს უადვილდება საკუთარი იდეის ფორმულირება. მაგალითად, პეტიციის აღწერისთვის განკუთვნილი ადგილის გასწვრივ, ვებ-გვერდის ადმინისტრატორი მომხმარებელს ურჩევს, რომ რაც შეიძლება მოკლედ, მკაფიოდ დაახასიათოს საკუთარი ინიციატივა და აუცილებლად ჩამოაყალიბოს პრობლემის გადასაჭრელად ხელისუფლებისგან რა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს.

Create a new e-petition

1
2
3

e-petition details

Your details

Submit e-petition

Name

Email

Email confirmation

British citizen or UK resident? yes no

Address

Town

Postcode

Country

პეტიციების დარეგისტრირების მეორე ეტაპი

3. საკუთარი მონაცემები: შემდეგ ეტაპზე მომხმარებელი უთითებს საკუთარ მონაცემებს. კერძოდ, სახელს, ელექტრონულ ფოსტას, მისამართს (ქვეყანა, ქალაქი, საფოსტო კოდი) და ამოწმებს დიდი ბრიტანეთის მოქალაქეა თუ მისი მუდმივი მაცხოვრებელი.

4. პეტიციის გაგზავნა: ბოლო ეტაპზე პეტიციის ინიციატორი კიდევ ერთხელ ამოწმებს აღწერას, ეცნობა და ადასტურებს წინაპირობებს. აღნიშნულ წესებში უფრო დაწვრილებითაა აღწერილი შევსებისა და შემდგომში ხელისუფლების მიერ მათი განხილვის პროცედურები. დაკონკრეტებულია ის მიზეზები, რის გამოც შესაძლოა ხელისუფლებამ პეტიცია განსახილველად არ მიიღოს. ბრიტანეთის პრაქტიკა იმითაცაა საინტერესო, რომ ცალკეული პეტიციების განუხილველობის შემთხვევაში, ისინი მაინც ქვეყნდება ამისთვის სპეციალურად შექმნილ განყოფილებაში „უარყოფილი“. ვებ-გვერდზე ახსნილია თუ რა მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა პეტიციის აღწერამ ან

ზოგადად იდეამ. აღნიშნული მიდგომა საჯაროსა და გამჭვირვალეს ხდის პეტიციების მიღებისა და გამოქვეყნების პროცესს.


უკუკავშირის ფორმა

ვებ-რესურსის ფუნქციების ეფექტურად მუშაობისა და მოქალაქეებისთვის სერვისის გაუმჯობესების მიზნით, ინტეგრირებულია უკუკავშირის ფორმა. მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს საკუთარი მოსაზრებები და შენიშვნები მიაწოდოს ელექტრონული რესურსის ადმინისტრატორს ტექნიკურ პრობლემებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, შეკითხვებისა გაგზავნა და კომენტარების დატოვება დაშვებულია ცალკეულ პეტიციასთან დაკავშირებითაც. ამ შემთხვევაში მოქალაქემ აუცილებლად უნდა მიუთითოს ამ იდეის სათაური ან ბმული. საგულისხმოა, რომ თუ კითხვის ავტორს პასუხის მიღება სურს, უნდა მონიშნოს შესაბამისი გრაფა და ხელისუფლების უკუკავშირის მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე მიიღებს.

ზემოთ აღწერილი პროცედურების უკეთ გასაგებად, ბრიტანეთის სამთავრობო პორტალზე მოცემულია გრაფიკული სახელმძღვანელო, რომლის მეშვეობითაც უფრო მარტივად აღსაქმელ ფორმატში ახსნილია ვებ-გვერდის გამოყენების წესები და ზოგადად

პეტიციების მომსახურებით სარგებლობა. ვიზუალურად და თანმიმდევრობითაა ნაჩვენები შემდეგი პროცედურები:

1. ახალი პეტიციის შექმნამდე არსებული იდეების მოძებნა;
2. საკუთარი პეტიციის შექმნა;
3. პეტიციის გადამოწმება;
4. პეტიციის გამოქვეყნება (მაქსიმუმ ერთი წლით);
5. პეტიციის ხელმოწერა;
6. პეტიციის მიერ ზღვრული 100 000 ხელმოწერის შეგროვება, რის შემდგომაც საკითხი შესაძლოა თემთა პალატაში განიხილოს.



ვებ-გვერდის გამოყენების გრაფიკული აღწერა

ვიზუალურ მასალას თან ახლავს თითოეული ეტაპის ტექსტობრივი განმარტება და რჩევები, რათა მომხმარებელმა უფრო ეფექტურად გამოიყენოს დანერგილი სერვისი.

დიდი ბრიტანეთის ელექტრონული პეტიციების პლატფორმის ანალიზმა აჩვენა, რომ სამოქალაქო ჩართულობის უზრუნველსაყოფად საჭიროა მოქალაქეებთან უკუკავშირის უზრუნველყოფა და ინიციატივების განხილვის შესახებ ინფორმაციის მუდმივი განახლება. ვებ-გვერდზე ასევე დეტალურადაა აღწერილი პეტიციების განხილვის პროცედურები. შეიძლება აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობის მხარდაჭერით ხელისუფლება ადასტურებს საკუთარ მზაობას მოისმინოს და განიხილოს მოსახლეობისა თუ დაინტერესებული ჯგუფების მიერ წამოჭრილი პრობლემები.

გერმანიის ბუნდესთაგის ონლაინ პეტიციები

საქართველოში პეტიციების სერვისის დანერგვის შესაძლებლობა ელექტრონული მმართველობის განვითარების პარალელურად გაჩნდა, მაშინ როდესაც გერმანია და ევროპის სხვა ქვეყნები მომდევნო ეტაპზე გადავიდნენ და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მართვაში მოქალაქეთა მონაწილეობის უკვე აპრობირებული პრაქტიკა (წერილობითი პეტიციები) ახალ, ელექტრონულ ფორმატში გახადეს ხელმისაწვდომი.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში პეტიციების უფლება, მათ შორის ელექტრონულიც კანონმდებლობით წესრიგდება. კონსტიტუციაზე დაყრდნობით შემუშავებული დირექტივები შესაბამის უფლება-ვალდებულებებს ანიჭებს მოქალაქეებსა და საჯარო მოხელეებს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის 17-ე მუხლის თანახმად ყველა ადამიანს აქვს უფლება ცალკე ან ჯგუფთან ერთად წერილობითი თხოვნით ან შენიშვნით მიმართოს გერმანიის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს. კონსტიტუციის 45-ე მუხლის 1 ნაწილის მიხედვით კი ბუნდესთაგში შექმნილია პეტიციების კომიტეტი, რომელიც უფლებამოსილი და ვალდებულია განიხილოს მოქალაქეთა განცხადებები.

„ბუნდესთაგის სეისმოლოგი“ - ასე უწოდებენ გერმანიის პარლამენტის პეტიციების კომიტეტს. სპეციალური განყოფილება, რომელსაც გერმანიის ფედერაციული

რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოში მოქალაქეთა პეტიციების განხილვა ევალუა, პირველი იგებს მოსახლეობის განწყობას, თუ როგორ მოქმედებენ ახალი კანონები, ხერხდება თუ არა დასახული მიზნის მიღწევა მათი მეშვეობით, თუ პირიქით სირთულეები წარმოიქმნება.

პეტიციების კომიტეტი მოქალაქეების თხოვნებისა და პრეტენზიების გათვალისწინებით, კონსულტაციას უწევს და რეკომენდაციებს აწვდის ბუნდესთაგს განსახორციელებელი ცვლილებებისა და პრიორიტეტული საკითხების შესახებ, რის შემდეგაც პარლამენტი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას და გზავნის მიმართვას იმ საჯარო დაწესებულებებში, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მათ განხორციელებაზე, ბუნდესთაგი ასრულებს ერთგვარი მედიატორის როლს მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის. პარლამენტი არ არის უფლებამოსილი სამთავრობო ორგანოებს მოთხოვოს მის მიერ რეცენზირებული პეტიციის სისრულეში მოყვანა. მაგრამ თუ საჯარო დაწესებულება არ მოახდენს საკანონმდებლო ორგანოს მიერ დამტკიცებული სამოქალაქო ინიციატივის განხორციელებას, ის ვალდებულია საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთებული მიზეზი აცნობოს პარლამენტს.

ბუნდესთაგის ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია სპეციალური განყოფილება, სადაც დარეგისტრირებულ მოქალაქეებს ეძლევათ შესაძლებლობა პეტიციების ფორმით საკუთარი ინიციატივები და შენიშვნები მიაწოდონ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს - მოითხოვონ ცვლილებების შეტანა კანონში ან გამოხატონ უკმაყოფილება ფედერაციული ორგანოების მუშაობის მიმართ.

პეტიციების კომიტეტი დაკომპლექტებულია პარლამენტში წარმოდგენილი ექვსი პარტიისა და კოალიციის წევრებით. პეტიციების კომიტეტს ჰყავს თავმჯდომარე და 26 წევრი, მოადგილე ჰყავს როგორც თავმჯდომარეს, ასევე, კომისიის თითოეულ წევრს. კონკრეტულ პარტიულ ჯგუფს ყავს ხელმძღვანელი პირი.

აღსანიშნავია, რომ მოქალაქეებისათვის პეტიციების გვერდზე ხელმისაწვდომია კომიტეტის თავმჯდომარისა და თითოეული წევრის ასევე მათი მოადგილეების ბიოგრაფიები. აქედან გამომდინარე, მოქალაქეები სრულ ინფორმაციას ფლობენ მათი თხოვნებისა და ინიციატივების დამუშავებასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი საჯარო პირების შესახებ.

მოქალაქეს პარლამენტის ვებ-გვერდზე შეუძლია დაარეგისტროს საკუთარი პეტიცია ან გამოთქვას მოსაზრება ვებ-გვერდზე უკვე გამოქვეყნებულ პეტიციებთან დაკავშირებით და როგორც ხელმომწერმა მხარი დაუჭიროს მათ განხორციელებას.

პეტიცია შეიძლება წარმოადგენდეს პირად თხოვნას ან საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხს შეეხებოდეს, როგორცაა მაგალითად, კანონმდებლობაში

ცვლილებების შეტანა და სხვა. აქედან გამომდინარე მომხმარებელს ბუნდესთაგის ოფიციალური გვერდის პეტიციების განყოფილებაში სამი სახის პეტიციის შეტანა შეუძლია.

1. დახურული პეტიცია - პირად ან საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხზე, რომლის გამოქვეყნებასაც პეტიციის ავტორი მიზანშეწონილად არ მიიჩნევს. შესაბამისად მისი საჯარო განხილვა და სხვა მოქალაქეების მიერ მხარდაჭერა არ მოხდება;
2. პეტიცია მესამე პირისთვის - მოქალაქეს, როგორც ნდობით აღჭურვილ პირს, შესაბამისი მანდატის წარმოდგენის შემთხვევაში, შეუძლია სხვა პირის მაგივრად შეიტანოს პეტიცია პარლამენტში;
3. ღია პეტიცია - საერთო ინტერესის გათვალისწინებით შედგენილი თხოვნები ან პრეტენზიები, რომლებიც პეტიციის წარმდგენთან შეთანხმებით ქვეყნდება პეტიციების კომიტეტის ვებ-გვერდზე. ამით კონკრეტულ ადამიანებს ან ჯგუფებს ეძლევათ შესაძლებლობა მათ განხილვაში მიიღონ მონაწილეობა ან/და გახდნენ ხელმომწერები.

ვებ-გვერდზე მომხმარებელს შეუძლია გაეცნოს დეტალურ ინფორმაციას სერვისისა და მისი გამოყენების წესებისა და გვერდის ადმინისტრაციის მიერ პლატფორმის სრულყოფისათვის დანერგილი სიახლეების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პირადი მონაცემების დაცვას. ასევე, მომხმარებელს შეუძლია გაეცნოს საკანონმდებლო საფუძვლებს პეტიციების შესახებ და **დირექტივას საჯარო პეტიციების განხილვის წესის შესახებ**; ხშირად დასმული შეკითხვების განყოფილებაში გაცემულია პასუხები მომხმარებელთათვის საინტერესო კითხვებზე და განმარტებულია მნიშვნელოვანი ტერმინები. აქვეა უკუკავშირის ბმული, რომლის მეშვეობითაც გვერდის მომხმარებელს შეუძლია ფორუმზე საკუთარი შენიშვნები და იდეები მიაწოდოს ადმინისტრაციას პლატფორმის კიდევ უფრო დასახვეწად.

საჯარო პეტიციის დარეგისტრირება - პეტიციების შესახებ ზოგად კანონზე დაყრდნობით, პეტიციების კომიტეტი მოქალაქეების სთავაზობს შესაძლებლობას წარმოადგინონ საჯარო პეტიციები, რომლებიც განთავსდება კომიტეტის ოფიციალურ გვერდზე, რაც თავის მხრივ, გულისხმობს ღია სადისკუსიო პლატფორმის უზრუნველყოფას განსხვავებული მოსაზრებების, შეფასებებისა და გამოცდილების გასაზიარებლად.

კომიტეტის მიზანია თემების მაქსიმალურად ფართო სპექტრი შესთავაზოს მოქალაქეებს, რაც გაცილებით მეტ ადამიანს გაუადვილებს მონაწილეობას საზოგადოებრივი საკითხების განხილვაში და საკუთარი ინიციატივისა თუ მოთხოვნის გაზიარების საშუალებას მისცემს.

პეტიციის შეტანის უფლება არ არის დამოკიდებული განმცხადებლის საცხოვრებელ ადგილსა და მოქალაქეობაზე.

ელექტრონული პეტიციების გაგზავნა მხოლოდ ვებ-გვერდზე ინტეგრირებული სპეციალური ფორმის გამოყენებითაა შესაძლებელი.

საჯარო პეტიციის წარსადგენად აუცილებელია, მოქალაქემ გახსნას სპეციალური ანგარიში, რომელსაც შემდგომში ასევე სხვა პეტიციების მხარდასაჭერად და დისკუსიაში მონაწილეობისათვის გამოიყენებს. დასარეგისტრირებლად საჯარო პეტიციების ბმულზე გადასვლაა საჭირო.

Übermitteln Sie hier in nur wenigen Schritten Ihr Anliegen an den Deutschen Bundestag.

Schritt 1 Ihre Daten	Schritt 2 Ihre Petition	Schritt 3 Daten prüfen	Schritt 4 Benutzerkonto	Schritt 5 Bestätigung
-------------------------	----------------------------	---------------------------	----------------------------	--------------------------

Schritt 1 - Ihre Daten

Bitte machen Sie folgende Angaben zu der Person, oder der Organisation, die die Petition einreicht, einschließlich einer Kontaktadresse, an die die Korrespondenz geschickt werden soll. Diese Angaben sind notwendig, weil der weitere Schriftverkehr aus Gründen der Vertraulichkeit ausschließlich auf dem Postweg erfolgt.

(Die mit einem * gekennzeichneten Felder sind Pflichtfelder.)

Anrede * Titel

Vorname *

Nachname *

Straße, Hausnr. *

PLZ * Ort *

Land *

Organisation

Telefon

[Weiter zu Schritt 2](#)

პეტიციის დარეგისტრირების ეტაპები

სარეგისტრაციო ფორმა ხუთი საფეხურისგან შედგება:

- პირადი მონაცემების შეყვანის შემდეგ იხსნება განყოფილება პეტიციისთვის. ვინაობასთან ერთად აუცილებელია მოქალაქემ მიუთითოს მისამართი, რადგან მიმოწერა პეტიციონერთად სანდოობის გაზრდის მიზნით შემდგომში ფოსტის მეშვეობით ხდება.
- საკუთრივ პეტიციების განყოფილებაში სამი ველია მოცემული. პირველ რიგში მოქალაქე წერს, პეტიციის წარდგენის მიზანს, შემდეგ დასაბუთებას, ხოლო მესამე განყოფილებაში თავად წამოჭრის ფორუმზე პეტიციასთან დაკავშირებით დისკუსიას. საინფორმაციო ნიშნებით მომხმარებელს კიდევ ერთხელ შეახსენებენ პირობებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია პეტიციის გამოსაქვეყნებლად, თითოეული ველის ქვემოთ მითითებულია სიმბოლოების დასაშვები რაოდენობები. პეტიციონერს ბუნდესთაგისთვის დამატებითი დოკუმენტების მიწოდება (მაგალითად საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილების ასლები, შეტანილი საჩივრები და სხვ.) შეუძლია ფოსტის მეშვეობით, ფოსტის მისამართი აქვეა მითითებული.

3. მესამე საფეხურია მონაცემების შემოწმება - მომხმარებელს შეუძლია კიდევ ერთხელ გადაამოწმოს მის მიერ შეყვანილი ინფორმაცია. გვერდის ადმინისტრაცია დაწვრილებით ინფორმაციას აწვდის პეტიციონერს პერსონალური ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით. შემდეგ საფეხურზე გადასასვლელად აუცილებელია პირადი მონაცემების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დოკუმენტის გაცნობა და მათი გამოქვეყნებისა და დამუშავების წესებზე დათანხმება. მომხმარებელს შეუძლია სურვილის შემთხვევაში გამოიწეროს ინფორმაცია ელ-ფოსტაზე.
4. შემდეგი ნაბიჯი მომხმარებლის ანგარიშის დარეგისტრირებაა - აქ პეტიციის ავტორი სპეციალურ ველში უთითებს ელექტრონულ მისამართს და პაროლს, პაროლის დადასტურების შემდეგ კი სურვილის შემთხვევაში ირჩევს ფსევდონიმს ფორუმისთვის. თუ მომხმარებელი არ მიუთითებს ფსევდონიმს ფორუმზე ის დაფიქსირდება მომხმარებლის საიდენტიფიკაციო ნომრით (ID). **დისკუსიის მონაწილე ან/და პეტიციის მხარდამჭერი პიროვნების ვინაობა ფორუმის სხვა მონაწილეებისთვის უცნობი რჩება.** მომხმარებელმა უნდა მონიშნოს სპეციალური ველი თუ სურს, რომ აღნიშნული ნომრის ნაცვლად მის მიერვე შერჩეული სახელით მიიღოს მონაწილეობა განხილვებში და დაეთანხმოს ვებ-გვერდის ინტერაქციული პლატფორმის გამოყენების პირობებს, რის შემდეგაც შეუძლია პეტიციის გაგზავნა.
5. ბოლო საფეხურია დადასტურება. გვერდის ადმინისტრაცია აცნობებს მომხმარებელს, რომ განაცხადი და მონაცემები შენახულია და ის უმოკლეს დროში ელექტრონულ ფოსტაზე მიიღებს ბმულს საკუთარი ანგარიშის საბოლოოდ დასარეგისტრირებლად. აღსანიშნავია, რომ მონაცემების შეცვლა რეგისტრაციის ოთხ საფეხურზეა შესაძლებელი. მეხუთე საფეხურზე კი მომხმარებელს საკუთარი განაცხადის საბოლოო სახით გაცნობა და ჩამოტვირთვა შეუძლია PDF ფორმატში. თავის მხრივ ბუნდესთაგი აღნიშნულ ფაილს აარქივებს.

პეტიციის გამოქვეყნება - პეტიციების გამოქვეყნებამდე კომიტეტი ამოწმებს დარეგისტრირებული მიმართვების შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან. პეტიციის გამოქვეყნების მთავარი წინაპირობა პეტიციის შინაარსი და აქტუალობა. თხოვნა/პრეტენზია უნდა გამომდინარეობდეს საზოგადოებრივი ინტერესებიდან, რომელსაც მოჰყვება საინტერესო და ნაყოფიერი დისკუსია. თემის განხილვა უნდა შედიოდეს კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში. საკითხი და თანდართული აღწერილობა ჩამოყალიბებული უნდა იყოს მოკლედ და ნათლად. ტექსტის მოცულობა ტექნიკურადაა განსაზღვრული. განსახილველი საკითხი არ უნდა შეეხებოდეს კონკრეტულ პიროვნებებს;

კომიტეტი იტოვებს უფლებას, ერთმანეთის მსგავსი პეტიციები გააერთიანოს და დაადგინოს მთავარი პეტიციონერი, სხვა წარმდგენი პირები განიხილებიან მხარდამჭერებად.

პეტიცია არ გამოქვეყნდება თუ არ არის შედგენილი სახელმწიფო ენაზე, თუ ლახავს ადამიანის ღირსებას ან არის მცდარი, არაობიექტური შინაარსის, თუკი კანონსაწინააღმდეგო ქმედებისკენ მოუწოდებს ან ისეთი ქმედებების გატარებას მოითხოვს, რომლებიც კონსტიტუციით დადგენილ ან ზნეობრივ კანონებს ეწინააღმდეგება. თუ დაცულ მონაცემებში და პირადი უფლებების (მაგ. ვინაობის დასახელებით) სფეროში იჭრება, კომერციული პროდუქტის, საქმიანობის ან სხვა სახის რეკლამას გულისხმობს;

პეტიცია არ გამოქვეყნდება თუ კომიტეტმა მოცემულ პერიოდში მსგავს საკითხზე გადაწყვეტილება გამოიტანა და ახალი არსებითი ასპექტების გათვალისწინება არ ხდება, მსგავსი პეტიცია უკვე საპარლამენტო განხილვის სტადიაშია ან იგივე პეტიციონერის საჯარო პეტიცია უკვე წარმოდგენილია ვებ-გვერდზე; თუ მოთხოვნა სოციალურ კეთილდღეობას, საერთაშორისო ურთიერთობებს ან კულტურათაშორის დიალოგს აყენებს სფეროსის ქვეშ;

პეტიციების შემოწმებისთვის დადგენილი ვადა 3 კვირას მოიცავს.

იმ შემთხვევაში თუ პეტიცია საჯარო პეტიციების განხილვის წესის შესახებ დირექტივებით დადგენილ ნორმებს აკმაყოფილებს ის განსახილველად და მხარდაჭერის მოსაპოვებლად გამოქვეყნდება ფორუმზე რუბრიკაში „პეტიციები ხელმოწერისთვის“.

საგულისხმოა, რომ იმ შემთხვევაში თუ პეტიცია ვებ-გვერდზე არ გამოქვეყნდება მისი დამუშავება და ინიციატორის ინფორმირება მოხდება პეტიციების განხილვის ზოგადი წესის მიხედვით;

პეტიციების ფორუმი - საჯარო პეტიციები მთავარი მიზანი მოქალაქეთა ინიციატივების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა და მოსახლეობისთვის აქტუალური თემებზე ღია დიალოგის გამართვის შესაძლებლობაა;

ფორუმის მეშვეობით ყველა მონაწილეს - მოქალაქეებსა და პარლამენტის წევრებს უნდა ჰქონდეთ თხოვნების, პრეტენზიების და კანონების შესახებ განსხვავებული შეხედულებების გაცნობის, შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი გათვალისწინების შესაძლებლობა. პეტიციების ფორუმი პეტიციების გვერდის მეორე ბლოკშია განთავსებული.

აქ გამოქვეყნებული პეტიციები სამ ჯგუფად არის დაყოფილი: პეტიციები ხელმოწერისთვის, პეტიციები, რომლებიც საპარლამენტო შემოწმებას გადიან და დახურული პეტიციები;

საინტერესო პეტიციის მარტივად მოსაძიებლად გვერდის მარჯვენა ველში განთავსებულია სწრაფი ძებნის განყოფილება. მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიებიდან ერთ-ერთი ან მონიშნოს კატეგორია „ყველა“, მიუთითოს სათაური, საიდენტიფიკაციო ნომერი ან/და საძიებო სიტყვა;

ფორუმის განყოფილებაში მოცემულია სამივე კატეგორიის პეტიციების ცხრილი და სტატისტიკა. მაგალითად დახურული ანუ უკვე განხილული პეტიციების რაოდენობა 7 მარტის მონაცემებით 1947-ს შეადგენს, 984 საკითხი საპარლამენტო შემოწმებას გადის ხოლო 42 ღიაა განხილვებისა და ხელმოწერებისათვის.

Startseite > Petitions-Forum > Petitionen in der Mitzeichnungsfrist

Petitions-Forum - Petitionen in der Mitzeichnungsfrist

Petitionen in der Mitzeichnungsfrist (51)		Petitionen in der Prüfung (943)		Abgeschlossene Petitionen (2014)	
<< 1 2 3 4 5 6 >>				Einträge pro Seite: 10 >	
Mitzeichnungsfrist	Titel	Id-Nr.	Mitzeichnungen	Forum	
noch heute bis 27.03.2013	→ Finanzpolitik - Gesetze zum Aufbau einer zukunftsfähigen Wirtschaft	36856	128	→ 50 Beiträge	
noch 1 Tag bis 28.03.2013	→ Erziehungsgeld/Elterngeld - Einkommensermittlung für das Elterngeld bei Selbständigen	38559	129	→ 12 Beiträge	
noch 1 Tag bis 28.03.2013	→ Kraftfahrzeugtechnik - Automatische Leuchtweiten- oder Niveauregulierung	39937	84	→ 9 Beiträge	
noch 1 Tag bis 28.03.2013	→ Gesetzliche Krankenversicherung - Beiträge - - Jährliche Festlegung der Beitragsbemessungsgrenze	40145	92	→ 9 Beiträge	
noch 5 Tage bis 01.04.2013	→ Arbeitnehmerüberlassung - Beschäftigung/Entlohnung von Leiharbeitnehmern	39206	342	→ 24 Beiträge	
noch 5 Tage bis 01.04.2013	→ Arbeitsschutz - Anti-Stress-Verordnung am Arbeitsplatz	39563	77	→ 14 Beiträge	
noch 5 Tage bis 01.04.2013	→ Sozialrecht - Leistungen für Unterkunft und Heizung bei Bezug von Sozialhilfe	40147	142	→ 17 Beiträge	
noch 6 Tage bis 02.04.2013	→ Besitzsteuern - Hebesatzrecht auf Einkommen- und Körperschaftsteuer	39422	11	→ 14 Beiträge	

პეტიციების ფორუმი

პეტიციების ხელმოწერა ან/და განხილვაში მონაწილეობა დაინტერესებულ მომხმარებლებს ინიციატივის გამოქვეყნებიდან 4 კვირის მანძილზე შეუძლიათ; ვებ-გვერდზე მითითებულია პეტიციის ხელმოწერისთვის დარჩენილი დღეების რაოდენობა და დისკუსიაში მონაწილეობისა და მხარდაჭერისთვის პეტიციის დახურვის თარიღი, ასევე, საიდენტიფიკაციო ნომერი და მოქალაქეთა ხელმოწერებისა და კომენტარების რაოდენობა. კონკრეტული პეტიციის სათაურის ბმულიდან გადავდივართ პეტიციის ტექსტზე და დასაბუთებაზე. აქვე მოცემულია დეტალები პეტიციის შესახებ, მითითებულია ავტორის ვინაობა, პეტიციის ელექტრონული საიდენტიფიკაციო ნომერი, შედგენის თარიღი და ხელმოწერის ვადა, რომლის ამოწურვის შემდეგაც ღია პეტიცია კომენტარებისა და ხელმოწერებისთვის იხურება. ყველა ამ ინფორმაციის ვებ-გვერდიდან

ჩამოტვირთვა და გაცნობა შესაძლებელია PDF ფორმატში. აქვე მოცემულია ონლაინ ხელმოწერთა რაოდენობა და გრაფიკულადაა გამოსახული ხელმოწერების დინამიკა დროის მიხედვით. მომხმარებელი ასევე ეცნობა ინფორმაციას იმის შესახებ მიღწეულ იქნა თუ არა კვორუმი.

კვორუმის მისაღწევად საჭირო ხელმოწერების რაოდენობა შეადგენს 50 000-ს. ამ რაოდენობის ხელმოწერების შეგროვების შემთხვევაში შედგება პეტიციის საჯარო განხილვა პეტიციების კომიტეტში, საკითხის განხილვაში პეტიციის ავტორი მონაწილეობს და კომისიის წევრების წინაშე პირადად წარადგენს და ასაბუთებს საკუთარ ინიციატივას. თუმცა, აქვე ხაზგასმულია, რომ პეტიციის განხილვისათვის გადამწყვეტი მაინც იდეა და შინაარსია. რაც გულისხმობს, რომ ნებისმიერი საინტერესო ინიციატივა მიუხედავად მხარდამჭერთა რაოდენობისა განხილული იქნება კომიტეტის მიერ.

ნათლად ჩანს, რომ საჯარო პეტიციის წარდგენის მთავარი მიზანი მოქალაქეებისთვის კომფორტული სადისკუსიო სივრცის შექმნაა. ფორუმზე ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია საზოგადო საკითხები მისთვის საინტერესო და აქტუალურ ასპექტში განიხილოს. ერთი და იგივე პეტიციის ირგვლივ შეძლება დისკუსია რამდენიმე განსხვავებული მიმართულებით წარიმართოს, რაც საკითხის ამომწურავად შეფასების შესაძლებლობას იძლევა და აადვილებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

ფორუმის მოდერირება „საჯარო პეტიციების განხილვის წესის შესახებ დირექტივის“ მიხედვით ხორციელდება, რომლის თანახმადაც, თუ დისკუსია აღარ არის არსებითი და საინტერესო, შესაძლოა პეტიცია დროზე ადრე დაიხუროს დამატებითი ხელმოწერებისა და კომენტარებისათვის (პუნქტი 9. 3).

საგულისხმოა, რომ პირველ რიგში პარლამენტია დაინტერესებული რაც შეიძლება მეტი მოქალაქის მოსაზრება, იდეა, კრიტიკული შეფასება მოისმინოს და გაითვალისწინოს, როგორც კანონშემოქმედებით, ასევე სხვა საჯარო საქმიანობაში და შესაბამისი რეკომენდაციები მიაწოდოს აღმასრულებელ ხელისუფლებას.

მოქალაქეთა პეტიციების საპარლამენტო განხილვა - პეტიციის ხელმოწერის ვადის ამოწურვის შემდეგ ღია პეტიცია კომენტარებისა და ხელმოწერებისთვის იხურება და საპარლამენტო შემოწმებას გადაის. კომიტეტის მიერ შესაბამის სამინისტროში ან მაკონტროლებელი ორგანოში იგზავნება მიმართვა, შეფასდეს მოქალაქის ინიციატივა. დადებითი შეფასების შემთხვევაში, აქვე სრულდება პეტიციის განხილვა. სხვა შემთხვევაში იწყება ანგარიშის მომზადების პროცესი, რომელიც რამდენიმე საფეხურს მოიცავს: თავდაპირველად დოკუმენტს მომზადებულ დასკვნასთან ერთად შეისწავლის კომისიის მინიმუმ ორი წევრი - სამთავრობო და ოპოზიციური გუნდიდან, რის შემდეგაც პეტიციაზე მსჯელობას პეტიციის კომიტეტი მართავს და ამზადებს რეკომენდაციას,

რომელთან დაკავშირებითაც საბოლოო გადაწყვეტილებას ბუნდესთაგი იღებს. იმ შემთხვევაში თუ პეტიცია სრულად ან ნაწილობრივ მაინც დასაბუთებულად/საფუძვლიანად ჩაითვლება, პარლამენტი პეტიციების კომიტეტის რეკომენდაციებზე დაყრდნობით, ამზადებს რეკომენდაციებს და უგზავნის მას მთავრობას განსახორციელებლად.

მთავრობა დამოუკიდებლად წყვეტს მიიღოს თუ არა მხედველობაში პარლამენტის დადგენილება პეტიციასთან დაკავშირებით, საკითხის უარყოფითად დასრულების შემთხვევაში კი ის ვალდებულია პეტიციების კომიტეტის წინაშე დაასაბუთოს საკუთარი გადაწყვეტილება.

პარლამენტს გააჩნია გარკვეული ბერკეტები, იმისათვის რომ სამინისტროებისა და შესაბამისი საჯარო დაწესებულებებს პეტიციის საკითხის საჭიროება დაანახოს, მაგ: სადავო საკითხთან დაკავშირებით მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტები, მოუსმინოს მოწმეებს. არსებობს ასევე სიტუაციის ადგილზე გაცნობის პრაქტიკა, შესაძლებელია პასუხისმგებელი საჯარო დაწესებულების წარმომადგენლის მოწვევა საკითხის განხილვაზე. საპარლამენტო შემოწმების მიმდინარეობისას პეტიციების კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას საკითხის საჯარო განხილვა ჩაატაროს თუ მხოლოდ პეტიციონერის არგუმენტები მოისმინოს. ინფორმაცია საჯარო დისკუსიის გამართვის დროისა და ადგილის შესახებ ქვეყნდება პეტიციების კომიტეტის გვერდზე. საჯარო განხილვების პირდაპირი ტრანსლირება ხდება პარლამენტის სატელევიზიო არხის მიერ.

პეტიციის ავტორი ამომწურავ ინფორმაციას იღებს მისი ინიციატივის განხილვის მიმდინარეობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ დასრულებული პეტიციების ცხრილთან ერთად ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია პარლამენტის დასკვნები კონკრეტულ პეტიციასთან დაკავშირებით. დაინტერესებულ მოქალაქეს მისი ვებ-გვერდიდან ჩამოტვირთვა და გაცნობა PDF ფორმატში შეუძლია.

The screenshot shows the 'Petitionen' section of the German Bundestag website. It features a navigation bar with 'Petition einreichen', 'Petitions-Forum', 'Service und Information', and 'Kontakt'. The main content area displays 'Petitions-Forum - Abgeschlossene Petitionen' with a table of completed petitions. The table has columns for 'Abgeschlossene Petitionen', 'Datum', 'Votum', 'Titel', 'Id-Nr.', 'Mitzeichnungen', and 'Forum'. The right sidebar contains search filters for 'Schnellsuche', 'Titelsuche', 'Id-Suche', and 'Volltextsuche'.

Abgeschlossene Petitionen	Votum	Titel	Id-Nr.	Mitzeichnungen	Forum
28.02.2013	A9 Begründung (pdf)	Stiftungen - Rechenschaftsberichte von politischen Stiftungen	17501	584	36 Beiträge
28.02.2013	A9 Begründung (pdf)	Nukleare Ver- und Entsorgung - Ausstieg aus der Kernenergie ins Grundgesetz	17846	975	96 Beiträge
28.02.2013	A9 Begründung (pdf)	Energiewirtschaft - EEG-Novelle 2012 zur Stromerzeugung aus Biomasse	18402	323	16 Beiträge
28.02.2013	A9 Begründung (pdf)	Ausbildungsförderung - Regelungen zur Rückzahlung von Darlehen bei der Kreditanstalt für Wiederaufbau	18451	128	35 Beiträge
28.02.2013	A9 Begründung (pdf)	Eigentumsdelikte - Strafrechtliche Regelungen zum Subventionsbetrug	18501	404	14 Beiträge
28.02.2013	A9 Begründung (pdf)	Energiewirtschaft - Keine	18610	217	20 Beiträge

პეტიციების ფორუმი

გადაწყვეტილებებს მინიჭებული აქვთ კატეგორიები (A1, A2b.. A9) იმის მიხედვით, თუ რა სახის დასკვნა იქნა მიღებული. საკითხები, რომლებიც ფედერაციის კომპეტენციის გარეთ გადის და ევროკავშირის დონეზე მოითხოვს გადაწყვეტას შემდგომი რეაგირებისათვის ევროპარლამენტს ეგზავნება.

განვიხილავთ რამდენიმე საინტერესო შემთხვევას:

პეტიცია, რომელსაც ყველაზე მეტი 105 386 ხელმოწერი ჰყავს და რომელთან დაკავშირებითაც მომხმარებლის 753 კომენტარი დაიწერა ჯანდაცვის სფეროს შეეხებოდა. საკითხის განხილვას ჯანმრთელობის სამინისტროს წარმომადგენელი დაესწრო. კომიტეტმა დასკვნები და რეკომენდაციები პრობლემის გადაწყვეტის გზებთან დაკავშირებით ჯანმრთელობისა და ფინანსთა სამინისტროებს გაუგზავნა, რადგან საკითხი მედიკოსონალის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევას და სფეროში კონკურენტული საკანონმდებლო პირობების უზრუნველყოფას ეხებოდა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართა კომიტეტმა მოქალაქის პეტიციასთან დაკავშირებით, რომელიც სუდანის ერთ-ერთ რეგიონში (დარფურში) არსებული კონფლიქტის მოგვარებაში გერმანიის აქტიურ მონაწილეობას და გენოციდად აღიარებას მოითხოვს.

ევროპარლამენტს გაეგზავნა შემდგომი რეაგირებისათვის დასკვნები პეტიციაზე, რომლითაც ავტორი გენური ტექნოლოგიით დამზადებული ცხოველთა საკვები პროდუქტების იმპორტის გამარტივებას აპროტესტებს; ამ ინიციატივას 1 095 მხარდამჭერი ჰყავს, ხოლო ფორუმზე 49 კომენტარია დაფიქსირებული.

პეტიციების კომიტეტის გვერდზე გამოქვეყნებულია დანიშნულებისამებრ გადაგზავნილი პეტიციების სტატისტიკა თვეების მიხედვით. დეტალური ინფორმაცია პეტიციების კომიტეტის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ ასახულია ყოველწლიურ ანგარიშში, რომელიც ვებ-გვერდზეა ხელმისაწვდომი.

ბუნდესთაგის პეტიციების კომიტეტში 2011 წელს 15 000 -ზე მეტი პეტიცია შევიდა, მათ შორის 5 112 ელექტრონული ფორმით. საპარლამენტო განხილვა გაიარა 6 387 -მა, რომელთაგანაც დაკმაყოფილდა 1 398 პეტიცია. 8 749 პეტიცია პარლამენტს არ განუხილავს, რადგან მათი დიდი ნაწილი - 5 182 საკითხი - გადაწყდა რჩევების, ცნობებისა და მასალების მიწოდების შედეგად. საერთო ჯამში, 15 135 პეტიციიდან დაკმაყოფილებულ იქნა 7 852 პეტიცია. უარყოფითად გადაწყდა 7 284 საკითხი, რომელთაგან 2 295 არ აკმაყოფილებდა პეტიციების კომიტეტის დადგენილ მოთხოვნებს.

გერმანიის ბუნდესთაგის პეტიციების გვერდი მისი ანალოგებისაგან არსებითად განსხვავდება. აღსანიშნავია, რომ პეტიციის განსახილველად არ არის აუცილებელი მხარდაჭერის მოპოვება, გადამწყვეტია პეტიციის შინაარსი. პეტიციის კომიტეტი იღებს ვალდებულებას თითოეული მოქალაქის ნებისმიერი საინტერესო ინიციატივა განიხილოს. რაც იმის დასტურია, რომ ხელისუფლება მზადაა მხედველობაში მიიღოს და გაითვალისწინოს მოქალაქეების რჩევები და შენიშვნები და მოსახლეობაზე ორიენტირებული პოლიტიკა აწარმოოს.

უმნიშვნელოვანესი სერვისი, რომელსაც ბუნდესთაგი მოქალაქეებს სთავაზობს პეტიციების ფორუმია, რომლის მეშვეობითაც საზოგადოების ნებისმიერ წევრს საკუთარ მოსაზრებების, შეხედულებების გამოხატვისა და მნიშვნელოვან თემებზე აზრთა გაცვლის საშუალება აქვთ. საგულისხმოა, რომ პეტიციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებას სწორედ ის ფაქტორი განსაზღვრავს, რამდენად აქტიური და ნაყოფიერი დისკუსია შესაძლოა მოჰყვეს პეტიციის საკითხს.

მოქალაქეების ნდობის ხარისხზე და შესაბამისად, მათ აქტიურობაზე დადებით გავლენას ახდენს პეტიციის კომიტეტის მუშაობისა და მისი წევრების შესახებ ინფორმაციის ღიაობა

და ხელმისაწვდომობა და მათი ეტაპობრივი ინფორმირება პეტიციის განხილვის მიმდინარეობის შესახებ.

დანართი 3: ელ-კონსულტაციების საუკეთესო გამოცდილება

ევროკომისიის საჯარო კონსულტაციების ელექტრონული სისტემა - "შენი ხმა ევროპაში"

Europe.eu ევროკავშირის ოფიციალური ვებ-გვერდია, რომელზეც თავმოყრილია ამ გაერთიანების მიერ დანერგილი ელ-სერვისები მათ შორის ევროკომისიის საჯარო კონსულტაციების ელექტრონული სისტემა - "შენი ხმა ევროპაში" (ec.europa.eu) რომელიც მოიცავს შემდეგ საშუალებებს: **კონსულტაცია, დისკუსია და სხვა მექანიზმები.**

როგორც ცნობილია ევროკავშირში უკუკავშირისა და ექსპერტიზის მისაღებად ე.წ „მწვანე და თეთრი ფურცლების“ პრაქტიკაა დანერგილი. პროცედურებში ჩართულია სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფები - ჩვეულებრივი მოქალაქეები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს სექტორი, ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესაბამისი საჯარო დაწესებულებები. ევროკავშირის პრაქტიკით, „მწვანე ფურცელი“ განხილულია როგორც სადისკუსიო დოკუმენტი, რომელსაც ევროკომისია აქვეყნებს პოლიტიკის სპეციფიურ მიმართულებებზე. დოკუმენტები განკუთვნილია დაინტერესებული მხარეებისათვის რომლებიც მოპატიჟებული არიან კონსულტაციის პროცესში ჩასართავად და დებატებში მონაწილეობის მისაღებად. რიგ შემთხვევებში პროცესი განკუთვნილია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებისთვის. ევროკომისიის „თეთრი ფურცლები“ გამოიყენება კონკრეტული მიმართულებით „მწვანე ფურცლის“ პროცედურების გაგრძელებად. ამ მიზნების მისაღწევად კომისიას შემუშავებული აქვს სტრატეგიები და კონკრეტული დირექტივები, სწორედ აღნიშნული სტრატეგიის ნაწილია საჯარო კონსულტაციების ელექტრონული სისტემა - "შენი ხმა ევროპაში". აღნიშნული სერვისი დაინერგა ინიციატივის - ინტერაქტიული პოლიტიკის შემუშავება - ფარგლებში. იგი ევროკომისიის დოკუმენტის „კონსულტაციის შესახებ მინიმალური სტარდარტები“

ფარგლებშია შექმნილი და მიზნად ისახავს ევროპის მმართველობის გაუმჯობესებასა და უკეთესი რეგულაციების შემოღებას. ქვემოთ განვიხილავთ ამ ელექტრონული პლატფორმის მექანიზმებს რადგან ვთვლით, რომ ის ერთ-ერთი საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაა და მისი პროცედურული ნაწილის იმპლემენტაცია საქართველოს ანალოგიურ პლატფორმაში (ichange.ge) იქნება პრაქტიკული და ეფექტური.

The screenshot shows the 'Your Voice in Europe' website. At the top, it says 'ec.europa.eu' and 'YOUR VOICE IN EUROPE'. Below that, there's a navigation bar with 'Homepage', 'Consultations', 'Discussions', and 'Other Tools'. The main content area has a 3D character with a megaphone and text explaining that the site is the European Commission's 'single access point' for consultations, discussions, and other tools. It lists three sections: Consultations, Discussions, and Other tools. There are also links for 'Why has this site been set up?', 'Why is some information not in my language?', and 'Legal notice'. The last update is noted as 04.10.2012.

ევროკომისიის საჯარო კონსულტაციების ელექტრონული სისტემა - "შენი ხმა ევროპაში"

სისტემის დაყოფილია ორ ღია და დახურულ განყოფილებად. ონლაინ კონსულტაციაში მონაწილეობის მისაღებად მოქმედებს შემდეგი ძირითადი პროცედურები და წესები:

- კომენტარების გაგზავნა შეუძლიათ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებს, ორგანიზაციებსა და საჯარო დაწესებულებებს;
- კონსულტაციის მიმდინარეობისას გამოგზავნილი დოკუმენტები და წინადადებები ონლაინ ქვეყნდება სისტემაში. გამონაკლისია შემთხვევები, თუ თავად კონსულტაციის მონაწილენი მიუთითებენ, რომ მათი მოსაზრებები კონფიდენციალურია;
- სისტემის მომხმარებლებს შეუძლიათ საკუთარი ინიციატივები ევროკავშირის ნებისმიერ ოფიციალურ ენაზე გააგზავნონ;

- ვებ-გვერდის ადმინისტრაცია დოკუმენტებს იღებს როგორც ელექტრონულ ისე წერილობით ფორმატში;
- კონსულტაციის საბოლოო ვადის ამოწურვის შემდეგ მიღებული წინადადებები შესაძლოა აღარ განიხილონ.

აღსანიშნავია, რომ ონლაინ კონსულტაციები ტარდება ევროკავშირის სხვადასხვა პოლიტიკურ მიმართულებით დაგეგმილი ცვლილებების, პოლიტიკური სტრატეგიებისა და დოკუმენტების, რეგულაციების შემუშავებაზე. მაგალითისთვის, მოვიყვანო დღეს (21.06.2013) განხილვის პროცესში მყოფ ზოგიერთ დოკუმენტს:

- ქსელის კოდექსებისა და დირექტივების განსავითარებლად ყოველწლიური პრიორიტეტების ნუსხის შემუშავება;
- ევროპელ გადამხდელთა კოდექსი;
- საჯარო კონსულტაცია პლასტიკურ ნაგავთან დაკავშირებით არსებულ "მწვანე ფურცელზე";
- მეთევზეობის სექტორში სახელწმიფო და იურიდიული ინსტრუმენტების შემუშავება.

საჯარო კონსულტაციებთან დაკავშირებით სისტემაში აუცილებლად **ქვეყნდება** შემდეგი მონაცემები:

- საჯარო კონსულტაციის საკითხი;
- სამიზნე ჯგუფების დასახელება;
- კონსულტაციის დაწყებისა და დახურვის თარიღი;
- საჯარო კონსულტაციის მიზნები;
- **კონსულტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტები** - განხილვაზე გამოტანილი დოკუმენტისა თუ პოლიტიკური სტრატეგიის საბაზისო ტექსტის გარდა, აღწერაში განთავსებულია საკითხთან დაკავშირებით ევროკავშირის მიერ სხვადასხვა დროს მიღებული გადაწყვეტილებები, მასზე ევროკავშირის უმაღლესი თანამდებობის პირების მოსაზრებები, ამ მიმართულებით მანამდე შემუშავებული პროგრამები და ა.შ. ასევე კონსულტაციაზე პასუხისმგებელი სააგენტოს დასახელება, ელ-ფოსტა, მისამართი

Reference documents and other, related consultations

- ▶ [EU-US Joint Statement on enhancing transatlantic cooperation in the area of freedom, security and justice of 28 October 2009](#) 
უფრო გამჭვირვალესა და ეფექტურს ხდის ორ მხარეს შორის კომუნიკაციას, რაც ნდობის დამყარების საწინდარი შეიძლება გახდეს.

The considered questions	
12517	<p>Уважаемый глава Восточно-Казахстанской области...Собираетесь ли Вы "пересесть" на авто отечественных товаропроизводителей? Если да, то в какие сроки Вы планируете это сделать?</p> <p>Answers to the questions</p> <p>8019 Мой служебный автомобиль импортного производства приобретен два года назад, до поручения Президента поддержать казахстанское машиностроение. Как только закончится срок эксплуатации - сразу же пересяду на «казахстанца». Акимы городов и районов и начальники областных управлений ездят на автомобилях отечественного производителя «Азия-Авто».</p>
12555	<p>В Курчатове одно учреждение здравоохранения - городская больница. В "скорой помощи" работает только один автомобиль УАЗ, просим Вас оказать содействие по выделению на нашу больницу еще одного автомобиля (машины скорой помощи).</p> <p>Answers to the questions</p> <p>8052 Касательно санитарного автотранспорта для ГКП «Городская больница г.Курчатов» ГУ «Управление здравоохранения Восточно-Казахстанской области» сообщает, что приобретение автотранспорта будет предусмотрена в 2013 году при выделении средств из местного бюджета.</p>
12556	<p>Добрый день, уважаемый Бердыбек Машбекович! у нас молодая семья, пока воспитываем только одну доченьку 1 год 3 месяца, стоим в очереди на получение места в детском саду. скажите пожалуйста, в каком году будет строится детский сад в нашем городе (Шемонаиха) и на сколько мест?</p> <p>Answers to the questions</p> <p>8031 В области развивается сеть дошкольных учреждений. функционирует 178 детских садов, при школах работают 1142 мини-центра. Общий охват детей дошкольным образованием составляет 94,8% (58029 детей), по сравнению с 2011 годом (86,0%) охват возрос на 8,8%, в сравнении с 2010 годом (71,9%) охват возрос на 22,9%, в сравнении с 2009 годом (59,8%) возрос на 35,0%. В Восточно-Казахстанской области в целях реализации программы «Балапан» на период с 2010 по 2012 год: - Построено 8 детских садов на 2010 мест, возвращены 15 зданий детских садов на 2005 мест, реорганизованы 19 школ в комплекс детский сад на 1030 мест: открыто 11 частных детских садов на 1210 мест, выкуплено 3 здания на 275 мест, восстановлены 2 здания на 190 мест. В Шемонаихинском районе работает 8 детских садов, 19 мини-центров при школах, в которых воспитывается и обучается 1720 детей. В 2013 году планируется возврат детского сада на 280 мест, в 2014 году строительство детского сада на 280 мест.</p>
12560	<p>Какого состояние дел по больницы села Глубокое? Будет ли она сдана в намеченные сроки?</p> <p>Answers to the questions</p> <p>8027 На территории п. Глубокое генеральным подрядчиком ТОО «Кумаров и К» ведется строительство центральной районной больницы. Заказчик строительства: Управление строительства ВКО, технический надзор: ТОО «Облжилкомхозстрой», Авторский надзор: ТОО «ПИИ «Семстройпроект». Кроме этого на объекте имеются 3 субподрядные организации. На данный момент идет свайные работы, заливка монолитных ростверков, монтаж фундаментных блоков, укладка систем водоснабжения и канализации, так же ведутся работы по разбору старого здания больницы. На строительстве работают 82 человека, на разборе 12 человек. Со стороны акимата Глубоковского района принимаются все меры по сдаче больницы в намеченные сроки.</p>

მთავრობის მიერ გათვალისწინებული კითხვები

- ონლაინ შეხვედრა მინისტრთან:** ვებ-გვერდზე სრულადაა მოცემული მინისტრთან ონლაინ შეხვედრის დანიშვნის წესები. კერძოდ, მოქალაქე აუცილებლად დარეგისტრირებული უნდა იყოს პლატფორმის გვერდზე. ონლაინ კონფერენციაში ჩაწერა შემდეგნაირად ხდება: მომხმარებელი ირჩევს საჯარო დაწესებულებას, შემდეგ ეცნობა მისთვის სასურველი საჯარო მოხელის განრიგს, ირჩევს თარიღს, უთითებს საკუთარ საკონტაქტო ინფორმაციას და იმ საჯარო მომსახურების ცენტრის მისამართს, სადაც დაესწრება ვიდეო კონფერენციას. გვერდის ადმინისტრაცია იტოვებს შეხვედრაზე უარის თქმის უფლებას, რაც ვებ-გვერდის მიხედვით, იმ შემთხვევებში ხდება, თუ ადგილები დაკავებულია ან მოქალაქის კითხვები ცალკეული თანამდებობის პირის კომპეტენციაში არ შედის. მოქალაქე შეხვედრის დანიშვნაზე საბოლოო პასუხს ერთ სამუშაო დღეში იგებს ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
- ელექტრონული სერვისების განსახორციელებელი პროექტების განხილვა,** რომლის მეშვეობითაც მოქალაქეები ჩართულნი არიან მთავრობის მიერ სხვადასხვა ელექტრონული სერვისის დანერგვაში. კერძოდ, ვებ-გვერდის ამ განყოფილებაში მოცემულია დაგეგმილი ინიციატივების ჩამონათვალი. თითოეულ მათგანზე კი

მოცემულია შემდეგი ინფორმაცია: პროექტის სათაური, დისკუსიის დაწყების დროს, ინიციატივის ძალაში შესვლის სავარაუდო თარიღი, მისი არსი და მიღების შემთხვევაში ამოქმედებული პროცედურების დეტალური აღწერა. საგულისხმოა, რომ ყველა პროექტის ქვეშ მოქალაქეებს შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები, შესთავაზონ ინიციატივები მთავრობას და გამოთქვან თითოეული ინიციატივის მიმართ არსებული შენიშვნები.

Project of the service: "Personal credit report (for individuals)"

Date of publication: 27.09.12

[Return to heading](#)

Terms of discussion: January 1, 2013
Terms of realization: December, 2013

The quantity of documents for service provision in the traditional way: 5 documents.
The quantity of documents for service provision in electronic form: not required.

Application procedure

	Now	How it will be
Terms	Up to 1 working day.	No more than 10 minutes.
Documents	1. Original of the application with the signature of an applicant. 2. Copy and original of the ID card. 3. Copy and original of the TIN. 4. Notarized application. 5. Copy of the receipt of payment for personal credit report (at readmission).	1. E-application, signed with digital signature . 2. Document is not required. Automated request is sent to the state database "Individuals". 3. Excluded*. 5. Online payment for the service.
Where?	Personal loan office.	Online: eGov.kz
When?	Tuesday – Friday from 9 am to 6 pm, with launch break from 1 pm to 2.30 pm, Saturday from 8 am to 4 pm, launch break from 12 am to 1 pm.	24 hours a day, 7 days a week.

* From the January, 1, 2013 according to the Law of the Republic of Kazakhstan "On national registers of identification numbers" identifications (SIC, TIN) will not be valid.
 Completed application is directed to the Informational system of the First loan office. As the result within 10 minutes to the personal account of the user of the electronic government comes personal credit report or notification with refusal. If the user has no opportunity to apply via eGov.kz he may address First loan office in Almaty city.

6 комментариев ★ 4

Обсуждение | Сообщество | Поделиться ⚙

Алмаз Саутбаев · 4 месяца назад

Добрый день. Почему услуга будет платной. Ведь все данные берутся из базы данных и никаких человеко-ресурсов не требуется для сбора информации. На край услуга должна быть платной при получении данной информации в периодичность меньше месяца да бы не загружать сервер. Услуга будет полезной.

0 | [Ответить](#) | [Поделиться](#)

ყაზახეთის სამთავრობო პლატფორმაზე გამართული ონლაინ დისკუსია მთავრობის სერვისების შესახებ

ამასთან ერთად, ელ-რესურსზე მოცემულია დისკუსიაში მონაწილეობის წესები. ასევე, განმარტებულია, რომ ადმინისტრატორი მოდერაციას უწევს მომხმარებლის ყველა კომენტარს. ასევე, დაკონკრეტებულია მიზეზები, რის გამოც გვერდის ადმინისტრაცია დაწერილი მოსაზრებების არ გამოქვეყნების უფლებას იტოვებს.

4. **აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების ბლოგები** - აღნიშნულ განყოფილებაში ერთ სივრცეშია ინტეგრირებული ხელისუფლების უმაღლესი პირების

ბლოგები. მათზე განთავსებულია ყაზახეთის სხვადასხვა საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელების მიერ დაწერილი პოსტები ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ეს ხაზს უსვამს მათ მზაობას მუდმივი და პირდაპირი კავშირი დაამყარონ მოქალაქეებთან, საკუთარი მოსაზრებები გაუზიარონ და საპირისპიროდ, მოისმინონ მოქალაქეების შეხედულებები ქვეყანაში არსებული პრობლემების მიმართ.

ბლოგ-პოსტებთან ერთად, ამ განყოფილებაში მოცემულია თითოეული საჯარო პირის ბიოგრაფია, საქმიანობა და თანამდებობა. ასევე, შესაძლებელია მათთვის ონლაინ კითხვების გაგზავნა. თანაც, მოცემულია გაგზავნილი და გამოქვეყნებული კითხვების ოდენობა. ეს გამჭვირვალობის კიდევ ერთი მაჩვენებელია.

The screenshot shows the profile of Zhaksybekov A. R., Minister of Defense of the Republic of Kazakhstan. The page includes a profile picture, a bio, and a list of posts. On the right, there are statistics for questions per day, week, and month, along with a detailed biography.

Questions per day

Total	1
Published	1

Questions per week

Total	25
Published	25

Questions per month

Total	108
Published	107

Biography

Zhaksybekov Adibek Ryskeidinovich
 Was born on July 26, 1954 year in Burly, Karabaykysky district, the Kostanayskaya oblast.
 Passed military service for a regular term in ranks of the Soviet Army in Krasnoznamennyi Siberian military command.

In 1977 graduated from faculty of economics of All-Union state institute of cinematography (Moscow), in 1987 passed retraining in Moscow institute of national economy named after Plekhanov on specialty "Organizer of logistic provision". Candidate of economic science.

Worked in system of State cinematography and State provision of Kazakh SSR, run a number of enterprises. From 1988 up to 1995 headed multisectoral corporation "Tsesna". In 1995 was elected in Senate of the Parliament of the Republic of Kazakhstan. In 1996 was appointed on position of the first deputy mayor of the Akmolinskaya oblast.

From December 1997 to June 2003 – mayor of Astana city. From June 2003 to December 2004 – minister of industry and trade of the Republic of Kazakhstan. From December 2004 - chief of Administration of President of the Republic of Kazakhstan. From January 23 to October 13, 2008 - the first deputy chairman of the Board of the National Bank of the Republic of Kazakhstan.

ყაზახეთის სამთავრობო პლატფორმაზე თავდაცვის მინისტრის შესახებ არსებული ინფორმაცია: ბიოგრაფია, ბლოგ-პოსტები, მიღებული კითხვების რაოდენობა

5. ელექტრონული მისამართი - აღნიშნული სერვისით შესაძლებელია ნებისმიერ საჯარო დაწესებულებისთვის ელექტრონული ფოსტის მიწერა. ამგვარი მომსახურება მოქალაქეს უმარტივესს სამინისტროსთან დაკავშირებას, რადგან მათი მისამართები ერთ სივრცეშია თავმოყრილი, მომხმარებელს კი არ უწევს ცალკეული დაწესებულების ოფიციალური ელ-ფოსტის მისამართის გადამოწმება, რადგან შეკითხვებს ვებ-გვერდზე ინტეგრირებული ფორმის მეშვეობით აგზავნის.

Apply

Conditions and agreements Application Confirmation Status of application

Your name: E-mail:

Blog:

Category:

Application text

ყაზახეთის პრემიერ-მინისტრისთვის წერილის გაგზავნის ფორმა

მოქალაქეების ჩართულობაზე ორიენტირებული სერვისების მიმოხილვისას გამოჩნდა, რომ დასახელებული ელექტრონული პორტალის/რესურსის მთავარი მიზანი მოქალაქეებსა და თანამდებობის პირებს შორის მუდმივი და ეფექტური კავშირის აგება, ერთმანეთში აზრების გაცვლა და პოლიტიკურ დაგეგმვაში ყველა დაინტერესებული პირის ჩართვაა. ორ მხარეს შორის თანამშრომლობას კიდევ უფრო ამარტივებს ის ფაქტი, რომ ერთიანი პლატფორმის შექმნით, მომხმარებელი მარტივად ახერხებს ნავიგაციასა და სასურველი ინფორმაციის მოძიებას. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, ვებ-გვერდზე ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაწერილი კომენტარები, ასევე, სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ინიციატივა წამოაყენეს მოქალაქეებმა, მათგან რამდენი იქნა განხილული, გათვალისწინებული ან უარყოფილი. ეს გაზრდის ნდობას და მომხმარებელში გააჩენს მეტი ჩართულობის მოტივაციას.

ესტონეთი

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად ესტონეთში შექმნილია ვებ-გვერდი www.osale.ee, რომელსაც მთავრობის კანცელარია მართავს. აღნიშნულ ელექტრონულ რესურსზე პირველივე გვერდზე გაცხადებულია, რომ იგი ოთხ ძირითად მიზანს ემსახურება:

- მთავრობისთვის იდეებისა და წინადადებების მიწოდება;
- იდეების მხარდასაჭერი ხელმოწერების შეგროვება;
- სამუშაო პროექტებზე მოსაზრებების გამოხატვა;
- საკანონმდებლო და სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავება.

ელექტრონულ პორტალზე ორი ძირითადი ინიციატივაა წარმოდგენილი. კერძოდ, პირველს წარმოადგენს მოქალაქეების მიერ საკუთარი იდეების მთავრობისთვის მიწვდენა. ამ სექციაში, ვებ-გვერდის თითოეულ მომხმარებელს შეუძლია განათავსოს ახალი წინადადება ნებისმიერ საკითხზე. მომხმარებელი იდეის აღწერასთან ერთად უთითებს კატეგორიას და საძიებო ტერმინებს. ამით უფრო მოსახერხებელია მსგავსი კატეგორიის იდეების მოძებნა და გაანალიზება, როგორც მომხმარებლებისთვის, ასევე, მთავრობისთვის.

რაც შეეხება თითოეული წინადადების შესახებ განთავსებულ მონაცემებს, მისთვის განკუთვნილ განყოფილებაში ვებ-გვერდზე ქვეყნდება იდეის აღწერა, ავტორის სახელი და გვარი, განთავსებისა და ხმის მიცემის დასრულების დრო. ნებისმიერ მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს გაავრცელოს მისთვის საინტერესო იდეა: თითოეულ მათგანზე ინტეგრირებულია სოციალურ ქსელებში გაზიარების ფუნქცია, წინადადების გავრცელება ელ-ფოსტის დახმარებითაც არის შესაძლებელი.

რაც შეეხება იდეის გარშემო მოქალაქეების აქტივობას, მომხმარებლებს საშუალება აქვთ მხარი დაუჭირონ იდეას ხმის მიცემით ან პირიქით, ხმა მისცენ წინადადების არგასვლას, დაწერონ კომენტარი ინიციატივასთან დაკავშირებით. საგულისხმოა, რომ ვებ-გვერდზევე მოცემულია შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები და ყველასთვის ხელმისაწვდომია თითოეული იდეის გარშემო ნებისმიერი მოქალაქის მხრიდან გამოხატული რეაგირების ფორმა და შინაარსი. კერძოდ, ცალკეული იდეის შემთხვევაში მოცემულია ამ დროისათვის რამდენი ემხრობა ან ეწინააღმდეგება იდეას. რიცხვების გარდა დაკონკრეტებულია მხარდამჭერებისა და მოწინააღმდეგეების ვინაობა - ელ-პორტალზე დარეგისტრირებისას მითითებული სახელისა და გვარის სახით. მოქალაქეებისგან დატოვებული კომენტარების

შემთხვევაში კი ელექტრონულ რესურსზე საჯაროდაა გამოქვეყნებული ყველა მათგანი და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს სხვების მოსაზრებებს.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თითოეულ იდეას მიზმული აქვს პასუხების განყოფილება, სადაც საჭიროების შემთხვევაში, მთავრობა განათავსებს საკუთარ პოზიციას მოქალაქის იდეასთან დაკავშირებით. საგულისხმოა, რომ მოქალაქისთვის უკუკავშირის უზრუნველყოფა მხარდამჭერთა რაოდენობაზე არ არის დამოკიდებული და მცირე ოდენობის ხმების დაგროვების შემთხვევაშიც ხდება სამინისტროებისგან გარკვეულ ინიციატივებზე რეაგირება.


ვებ-გვერდის ადმინისტრაციის მხრიდან დანერგილი ელ-რესურსისადმი ყურადღების ინდიკატორად შეიძლება ჩაითვალოს მიღებული იდეებისა და გამოხატული მოსაზრებების სისტემატური გაცნობა და მათზე დაყრდნობით სტატისტიკური მონაცემების უზრუნველყოფა. პორტალზე მოცემულია შემდეგი ტიპის ცნობები: სულ რამდენი იდეაა შესული მომხმარებლის მხრიდან, რამდენმა მოქალაქემ მისცა ხმა, რამდენი იდეა გავიდა (იგულისხმება, მთავრობის გამომხაურება იდეისადმი) და რამდენი არ იქნა დაკმაყოფილებული.



[Home](#) > [View ideas](#)

Take the time to celebrate the National Day of days in the history of English

Andres Laiapea
Entered: 18 February 2013
ended Responses

[Print](#) 
[Send invitation](#) 

View ideas

Record

For answers

Comments (1)

I propose to take up in July each year to celebrate the national day deadline for the English history, which could match the birthday of Carl Robert Jakobson (July 26, OS. Jul. 14) or close to the day of the week, as the United States celebrated Martin Luther King Jr. Day. This day would stress equality of all people and nations, which also includes the right to have its own history.

Keywords: [national anniversaries](#)

Category: [Other](#)

ერთ-ერთი მოქალაქის იდეა

The screenshot shows the OSALE.EE website interface. At the top left is the logo with the text 'OSALE.EE'. Below it is a breadcrumb trail: 'Home > View ideas'. The main heading is 'Amend the Local Government Election Act'. Underneath, the author is 'Andres Laiapea', with submission dates: 'Entered: 25 October 2012' and 'Received 27th December 2012'. To the right are buttons for 'SHARE', 'Print', and 'Send invitation'. Below the author information are four tabs: 'View ideas', 'Record', 'For answers', and 'Comments (0)'. Further down, it says 'Department of Internal' and 'Entered: 27 December 2012'. A section for 'Attached files:' shows a file named '»2874 Vastus participatory web ideele.pdf (217.33 KB)'. At the bottom of the screenshot, there is a caption in Georgian: 'მოქალაქის იდეა და მასზე მთავრობის გამოხმაურება'.

ზემოთ აღწერილი, მოქალაქეთა ჩართულობაზე ორიენტირებული, სერვისის გარდა ვებ-გვერდზე არსებობს კონსულტაციის განყოფილება. როგორც უკვე აღინიშნა, ხსენებულ ელ-პლატფორმას მთავრობის კანცელარია მართავს, საკონსულტაციო საკითხების ინიცირება კი სამინისტროების მიერ ხდება.

თითოეული ღია კონსულტაციის შემთხვევაში მოცემულია შემდეგი ტიპის ინფორმაცია:

- კონსულტაციის გამომცხადებელი დაწესებულება;
- კონსულტაციის დაწყებისა და დასრულების თარიღი;
- საკონტაქტო ინფორმაცია;
- იმ საკანონმდებლო ინიციატივის თუ სტრატეგიული გეგმის დასახლება და აღწერა, რომელიც ცალკეულმა უწყებამ გამოიტანა საჯარო დისკუსიაზე. უმეტეს შემთხვევაში, მიზნულია მთავრობის მიერ ცალკეულ საკითხთან დაკავშირებით მანამდე დამტკიცებული და ამჯამად შემუშავებული გეგმები PDF ფორმატში;
- კონსულტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი, რომელშიც განმარტებულია საკითხის არსი, დასმულია პრობლემები და მოცემულია დაწვრილებითი სტატისტიკური თუ სხვა ტიპის ინფორმაცია

აღნიშნული საკითხის გარშემო. ამგვარი ინფორმაცია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის თვალნათელს ხდის კონკრეტული პრობლემის არსს, მთავრობის პოლიტიკას და მის გარშემო არსებულ ვითარებას;

- საკანონმდებლო თუ სხვა ტიპის ინიციატივის პირველადი დოკუმენტი.

კონსულტაციის ცალკეული საკითხის აღწერის ქვემოთ გამოყოფილია სივრცე პლატფორმაზე რეგისტრირებული მომხმარებლებისთვის, სადაც მათ დასმულ პრობლემაზე თუ პოლიტიკურ ინიციატივაზე საკუთარი პოზიციის დაფიქსირება შეუძლიათ. ამით, ერთი მხრივ, შესაძლებელია საჯარო დისკუსიის ინიციატორ საჯარო დაწესებულებასთან ინტერაქცია და მისთვის წინადადების შეთავაზება და მეორე მხრივ, ცალკეული საკითხის გარშემო უზრუნველყოფილია დისკუსია მოქალაქეებს შორის.

Find a consultation:

Keyword:

Expertise: A wider view

Results for:

Status:

Start time:

End time:

კონსულტაციების საძიებო სისტემა

ნავიგაციის გამარტივების მიზნით, ვებ-გვერდზე მიბმულია ელ-კონსულტაციების საძიებო სისტემა, სადაც სასურველი საკითხის შესახებ გამართული საჯარო დისკუსიის ნახვა შესაძლებელია ტერმინის, სტატუსის (მიმდინარე, დასრულებული, დახურული), საკითხის, დაწესებულების და თარიღის მიხედვით.

ბაჰრეინი

ბაჰრეინი ელექტრონული ჩართულობის ინდექსით ერთ-ერთ მოწინავე ქვეყანას წარმოადგენს – გაეროს ელექტრონული მმართველობის რეიტინგის მიხედვით მერვე ადგილზეა. იგი მოსახლეობას სხვადასხვა ტიპის მომსახურებას ელ-მთავრობის პორტალის, მობილური პორტალის (mobile portal), კიოსკების, ეროვნული საკონტაქტო/საინფორმაციო (national contact center) და ელ-სერვისების ცენტრების (e-service center) საშუალებით აწვდის. ამ შემთხვევაში მთავარი აქცენტი პირველ-ორ ელექტრონულ სერვისებზე გაკეთდება.

ბაჰრეინის ელექტრონულ პორტალზე პირველივე გვერდზე გამოტანილია სპეციალური განყოფილება სახელწოდებით „შენს აზრს მნიშვნელობა აქვს“ (Your Opinion Matters). სადაც განმარტებულია სახელმწიფოს პოლიტიკა ელექტრონული ჩართულობისა და ელექტრონული კონსულტაციის კუთხით. თანაც, აღნიშნულია, რომ ვებ-გვერდისა და ზოგადად სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი მიზანი ამ საკითხების მიმართ მოქალაქეების ცოდნის ამაღლება და დანერგილ მომსახურებებზე მათი ხელმისაწვდომობის გაფართოებაა.

ბაჰრეინის ელექტრონული პლატფორმა. მონიშნულია განყოფილება “ შენს აზრს მნიშვნელობა აქვს“.

აღნიშნულ განყოფილებაში, პირველ რიგში, მოცემულია დეტალური ინფორმაცია ელ-კომუნიკაციის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. კერძოდ, ელექტრონულ რესურსზე მოცემულია ტერმინის „ელ-კონსულტაცია“ განმარტება, ამ საკითხის გარშემო არსებული გამოწვევები, მთავრობის მიერ შემუშავებული პოლიტიკა და სტრატეგია, შემუშავებული პოლიტიკის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი სარგებელი.

ამასთან ერთად, დეტალურადაა გაწერილი მთავრობის ძირითადი მიდგომა ელექტრონულ-მმართველობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ხაზგასმულია თუ რას მოელის მთავრობა ელექტრონული მმართველობისგან. მაგალითისთვის, გადაწყვეტილების მიღების პროცესის უმაღლესი გამჭვირვალობისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, დაინტერესებული პირებისგან უკუკავშირისა და რჩევების მიღებას. ამისთვის მთავრობა მათ რამდენიმე საშუალებას სთავაზობს: საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებს, სადისკუსიო ფორუმებს, ბლოგებს, გვერდის ადმინისტრატორებთან პირდაპირ დაკავშირებასა და მათთვის ინიციატივების გაზიარებას.

აქვე განმარტებულია, რომ ადმინისტრაცია პერიოდულად დააკვირდება პორტალზე დაწერილ კომენტარებს და ინტერაქციაში შევა მომხმარებელთან. გვერდის ადმინისტრატორები იტოვებენ ზოგიერთი მოსაზრებების წაშლის ან კორექტირების უფლებას, თუ მისი ავტორი დაარღვევს პორტალის გამოყენების წესებს. გარდა ამისა, ელექტრონული რესურსის მუდმივი მომხმარებლისთვის განსაზღვრულია, რომ მათი ზოგიერთი შეთავაზება ან წინადადება შეიძლება გამოიყენონ პოლიტიკური დაგეგმვის პროცესში. გვერდის ადმინისტრაცია კი უმეტეს შემთხვევაში გამოქვეყნებს კონსულტაციების შედეგებს.

The screenshot shows the website interface with the following content:

- Navigation:** Main, Individuals, Business, Government, Visit Bahrain.
- Menu:** About Bahrain, Rules and Regulations, Government Agencies, Government Directory, Forms and Resources, How do I?, About eGovernment, Your opinion matters.
- Badges:** eGovernment Excellence Award 2012, eMAGAZINE, Bahrain International eGovernment Forum 2012, eGovernment Authority Website.
- Section: YOUR OPINION MATTERS** (with Listen icon and social media icons).
- eConsultation:**
 - The eGovernment Authority is keen to introduce and implement eConsultation concept to enable stakeholder participation (especially citizens) and opinion sharing with the Authority.
 - This policy is prepared with intent to provide assistance to understand the eConsultation process and how citizens and residents can access these services.
 - List: eConsultation Policy, Shaping Decisions through eConsultation, eGovernment Blog, Online Customer Satisfaction Survey, "Contact Us" Form, Previous Polls.
- Study on Customers Satisfaction on eGovernment:**
 - In line with the implementation requirements of Bahrain's eGovernment strategy, The eGovernment Authority has conducted comprehensive studies to identify the indexes level of the customers satisfaction, eGovernment transformation, awareness about eServices and assessment of eGovernment influence among the public.
 - List: Click here to view summaries of conducted studies.
- eParticipation Award:**
 - eGovernment Authority recognizes creative and innovative citizens who help achieving excellent standards in eGovernment works.
 - List: Click here for more information about the award.
- Interaction with Customers:**
 - We are pleased to receive your innovative suggestions and ideas about Bahrain eGovernment at anytime via email: info@ega.gov.bh or fax no. +973 17388338. We assure all your ideas and suggestions are scrutinized in the direction of functionality as soon as possible to achieve customers' satisfaction.
 - The eGovernment firmly believe in the importance of its presence on social networks websites, since currently more than 70 % of Internet users are visiting these websites, therefore we have recently established our fan page and group on Facebook, our account on Twitter and a our video channel on You Tube. You are very welcome to subscribe to these channels and share with us your valuable comments and feedback.
 - List: Become a Fan of "bahrain.bh" on Facebook, Click here to visit our Group on Facebook, Click here to visit our channel on You Tube, Follow us on Twitter.
- Who's on Twitter?:**
 - As part of our initiatives to encourage eParticipation between the government and its citizens, we created a list of some of the certified accounts of Kingdom's official representatives and entities.
 - List: Click here to view the list.

EhL1ICZncvZW4I/

განყოფილება „შენს აზრს მნიშვნელობა აქვს“

ამავდროულად, ვებ-გვერდზე დაკონკრეტებულია თუ რა ტიპის შეთავაზებებს იღებს მთავრობა მოქალაქეებისგან. კერძოდ, კონსულტაციები ისეთ საკითხებზე, რომლების შესახებაც სჭირდებათ გაუმჯობესება, შეთავაზება, მოსაზრება ან ახალი იდეა. ელექტრონული კონსულტაციები ღიაა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მთავრობას ესაჭიროება კონკრეტული ჯგუფისგან მიიღოს რჩევები ცალკეულ პოლიტიკასთან დაკავშირებით. ამ უკანასკნელ შემთხვევებში ვებ-გვერდის ადმინისტრაცია იყენებს

შესაბამის ელექტრონულ საშუალებებს რათა დაუკავშირდეს ამ კონკრეტულ ფოკუს ჯგუფს მათი აზრის გასაგებად.

ზოგადი პოლიტიკის აღწერასთან ერთად, ვებ-გვერდზე გაწერილია ელექტრონული კონსულტაციის ძირითადი პროცედურები. იგი ექვსი ეტაპისგან შედგება:

დოკუმენტის გამოქვეყნება: სამთავრობო პორტალზე ქვეყნდება გარკვეულ საკითხზე კონსულტაცია. განაცხადი მოიცავს შემდეგ მონაცემებს:

- საკითხის მოკლე აღწერა;
- მოქალაქეებზე განსახილველი საკითხის შესაძლო გავლენა;
- ინფორმაცია გადაწყვეტილების მიმღები პირების შესახებ;
- კონსულტაციის განრიგი;
- ეფექტური მონაწილეობისთვის საჭირო რესურსები.

მომხმარებლებისთვის განმარტებულია ელექტრონული რესურსის გამოყენების პირობები, შესაფერისი ენის გამოყენების წესები, რაც ხელს უწყობს ჯანსაღი სამოქალაქო განხილვების, კონსტრუქციული კრიტიკის და აქტიური განხილვის კულტურის დამკვიდრებას. ასევე, ახსნილია თუ რა სარგებელს მიიღებენ მოქალაქეები ელექტრონულ პლატფორმაზე აქტიურობითა და საკუთარი პოზიციების დაფიქსირებით თითოეულ საკითხთან მიმართებაში. ბოლოს, უმეტეს შემთხვევაში განსაზღვრულია იმ ადამიანთა ასაკობრივი ჯგუფი, რომელთა გამოხმაურებებსა და ინიციატივებსაც ელოდება გვერდის ადმინისტრაცია.

საკითხის შესახებ ცნობიერების ამაღლება: ელ-კონსულტაციაში ფართო საზოგადოების ჩასართავად, ხელისუფლება ტელევიზიის, რადიოს, ჟურნალების, კონფერენციების, სხვადასხვა ვებ-გვერდების, ბლოგებზე განცხადებების საშუალებით ავრცელებს გამოცხადებული კონსულტაციის შესახებ ინფორმაციას. საინფორმაციო მიმართვაში მოკლედაა აღწერილი საკითხისა და მის განხილვაში მოსახლეობის ფართო სეგმენტის ჩართულობის მნიშვნელობა, კონსულტაციის განრიგი და მოლოდინები.

უკუკავშირისა და პასუხების შეგროვება: საკითხის გასაჯაროებასთან ერთად, ელ-რესურსის ადმინისტრაცია მონიტორინგს უწევს მიღებულ წინადადებებსა და კომენტარებს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დროულად უზრუნველყოფენ მოქალაქეების მიერ დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემას. საინტერესო ინიციატივებს კი მთავრობა განიხილავს.

წინადადებების ანალიზი: მოქალაქეების მიერ წინადადებების გაზიარების შემდეგ, ხელისუფლება განიხილავს მათ და არჩევს იმ წინადადებებს, რომლებიც შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს გადაწყვეტილების მიღებისას. შესულ ინიციატივებთან დაკავშირებით ხელისუფლების მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მოქალაქეებს აუცილებლად უგზავნიან მათ მიერ მიწოდებული ინიციატივების შედეგებსა და სტატუსს.

კომუნიკაცია და გადაწყვეტილების გამოცხადება: ხელისუფლება მიღებულ გადაწყვეტილებებს ავრცელებს შესაფერისი ონლაინ საშუალებებით.

დახურვა და არქივი: თითოეულ ინიციატივასთან დაკავშირებით ონლაინ-კომუნიკაციის წარმატებით დასრულების შემდეგ სადისკუსიო საკითხი იხურება და არქივირდება შემდეგი ტიპის ინფორმაცია:

- საკითხის თავდაპირველი აღწერა და შეფასება;
- სპეციალურად საკითხისთვის შექმნილი დოკუმენტაცია და საკომუნიკაციო მექანიზმები;
- ხელისუფლების მიერ მიღებულ წინადადებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები;
- სტატისტიკური მონაცემები: მონაწილეებისა და მოქალაქეების გამოხმაურებების რაოდენობა;
- კონსულტაციის პერიოდში წამოჭრილი გამოწვევები/პრობლემები და მათ გადასაჭრელად გატარებული ღონისძიებები.

პროცედურების თანმიმდევრობა შეიძლება შეიცვალოს განსახილველი საკითხის აქტუალობის, საჭიროებისა და სპეციფიკის მიხედვით.

გარდა ამისა, ხელისუფლება მოქალაქეებს ელ-კონსულტაციისთვის შემდეგ ელექტრონულ სერვისებს სთავაზობს:

- **ელ-მთავრობის ბლოგი:** აღნიშნულ პორტალზე ელ-მმართველობაზე მომუშავე სხვადასხვა თანამდებობების პირები წერენ პოსტებს მთავრობის მიერ დანერგილი სერვისებისა და გეგმების შესახებ. თანაც, თითქმის ყველა სტატიის შემდეგ, თავად ავტორი მოუწოდებს მკითხველებს საკუთარი პოზიციები დააფიქსირონ პოსტში წამოჭრილი საკითხების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ბლოგის ავტორები მოქალაქეების მიერ დაწერილ კომენტარებს, გამოხატულ მოსაზრებებსა და კითხვებს სისტემატურად პასუხობენ. თან, შესაძლებელია ადმინისტრატორის მიერ გაცემული პასუხის შეფასება

(ლილაკები: „მოწონება“/„არმოწონება“), რითაც მომხმარებელი აფიქსირებს რამდენად საკმარისი და ამომწურავი უკუკავშირი მიიღო ამა თუ იმ საჯარო პირისგან.

Information Security

Dr. Zakareya Ahmed Al Khaja, Director of Policies and Business Processes Re-Engineering, eGovernment Authority



The eGovernment Authority successfully applied an information security plan in several stages over a period of 18 months, and achieved the internationally Recognised ISO 27001 certification on the 19th, October, 2010. This achievement makes the eGovernment Authority of the Kingdom of Bahrain, the first GCC eGovernment to receive the ISO 27001 certification. Currently through its various channels, the eGovernment Authority implements a strategy that ensures delivering the best services with the highest security level to all clients. ISO 27,001 certification highlights the Authority's determination to keep improving processes in order to provide the best services and support for eServices to the highest global standards. Security is an important priority to everyone and it is my pleasure to take the blog as an opportunity communicate directly with you on all your thoughts and feedback on this topic. I invite you all to participate to have a one on one discussion on any of the following topics that might be of interest to you: • **Citizens trust level, and concerns on eGovernment Authority** • **Confidentiality of the data which is entered by the users through the eGovernment Channels** • **Cyber Threats and Security Procedures** • **The criteria and measurement used to ensure the security and privacy**

Posted by Zakareya - 27-04-2011 18:58

Add Comment

მთავრობის ერთ-ერთი წევრის მიერ დაწერილი ბლოგ-პოსტი

აღნიშნულ პორტალზე წამოჭრილ საკითხებს შორის აღსანიშნავია შემდეგი სადისკუსიო საკითხი: „ელ-მმართველობის ახალი სტრატეგია (2011-2014)“, სადაც აღნიშნულია, რომ მთავრობა ამუშავებდა რამდენიმეწლიან სტრატეგიას ელექტრონული სერვისების დანერგვასთან დაკავშირებით. მოქალაქეებს კი თავის დროზე უნიკალური შესაძლებლობა მიეცათ პირდაპირ დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიციები, მიეწოდებინათ მთავრობისთვის წინადადებები და თავად ჩართულიყვნენ აღნიშნული დოკუმენტის ფორმირებაში. ამით, აშკარაა, რომ ბაჰრეინის ხელისუფლებამ ელ-მმართველობის სტრატეგია რიგითი მოქალაქეების აზრების გათვალისწინებით მიიღო. უფრო მეტიც, მომხმარებლების კომენტარების გაცნობამ აჩვენა, რომ ელ-რესურსის ადმინისტრაცია არა უბრალოდ ეცნობოდა და კითხულობდა ყველა შესულ ინიციატივას, არამედ არცერთ მათგანს არ ტოვებდა უპასუხოდ. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს მთავრობის ღიაობაზე და მზადყოფნაზე მოუსმინოს საკუთარ მოქალაქეებს და გაითვალისწინოს მათი შეხედულებები.

By : anonymous - 3-11-2010 12:33

Dear Mr. Alqaed, Thanks a lot first of all for your work. I would like to know if the eGA is planning to create a public data bank akin to data.gov or data.gov.uk, and with it a plethora of APIs to access government services.

Blog Owner Reply : We thank you for your pro-activeness and appreciation of such leading edge developments in the field of e-Government. We at the eGA have considered such functionalities as part of our 2011-14 e-Gov strategy and will offer a range of APIs & data sources enabling users to create their own mash-ups

Did you find this comment useful? (2), (2)

By : anonymous - 5-9-2010 12:00

أخ محمد بعظيمك العافية . بدأت في استعمال الخدمات الإلكترونية مؤخرًا بعد رؤية إعلانكم في الإنترنت وأنا الآن استعمل خدمة فاتورة الكهرباء والماء بصورة مستمرة كما واستعملت لأول مرة خدمة تجديد رخصة القيادة ووصلتني خلال أيام معدودة إلى باب البيت (وداعًا لمخاض الإجراءات الحكومية والعشر دنانير). أعتقد أن أقوى وسيلة لنشر ثقافة الحكومة الإلكترونية هي (نصيحة مجرب) ، أصبحت سفيرا للحكومة الإلكترونية بين أقراني وأصدقائي وبدأوا هم أيضا باستعمال الخدمات الإلكترونية ، لكم جزيل الشكر والتقدير - سلمان سلمان

Blog Owner Reply : اللهم بعافيك يا أخ سلمان. حقيقة شاكر لك مشاركتي تجربتك مع الخدمات الإلكترونية .. نهتم ونستفيد ونفرح كثيرا بآرائكم وتجاربكم .. أكرر شكرتي الجزيل وأتمنى التواصل معنا

Did you find this comment useful? (3), (3)

By : anonymous - 28-8-2010 13:20

I can not understand why i seem to be "Violating The Laws of the Kingdom of Bahrain" when all it is that am trying to do is use Google's language tool in order to help me translate a website from German to English. Can someone please assist me with this matter?

Blog Owner Reply : i tried it and it worked. can please send your contact details to my email ceo@ega.gov.bh and i will let someone contact you to make sure resolve the problem.

Did you find this comment useful? (2), (2)


By : anonymous - 23-8-2010 2:24

Dear Mohamed, Thanks for the great effort. We want to reach a day that I dont leave home or office to do gov. paper. Anyway, I just want to ask, do ou follow any best practices in Service Management? If you do, what methodology you are following? If you are not then a project to start such kind of thing will be exactly what you need. It will make sure all services are controlled and monitored and there are Service Owners looking always for improvements. ITIL is one of those great frameworks to apply

Blog Owner Reply : Dear Sender, Thank you for your note and suggestion. I'm pleased to inform you that we, at eGA, are implementing many best practices as well as adhering to a number of international standards. Precisely and to address specifically your suggestion regarding monitoring & control and services improvements, we are indeed adhering to the Information Technology Infrastructure Library (ITIL) framework and the Capability Maturity Model Integration (CMMI). We have built an in-house Service Delivery Lifecycle (SDLC) based on ITIL, CMMI, Project Management Institute (PMI) and International Organization for Standardization (ISO). The SDLC helps us manage the eServices and projects from the inception throughout the rollout and support

მომხმარებელთა გამოხმაურებები და ადმინისტრაციის პასუხები ელ-კონსულტაციის სტრატეგიაზე.

- მომხმარებელთა კმაყოფილების ონლაინ გამოკითხვა:** ვებ-გვერდზე განთავსებულია საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის საშუალება. გამოკითხვები ძირითადად ეხება მთავრობის მიერ სხვადასხვა დროს დანერგილ აპლიკაციებსა და სერვისებს. ამ გზით, ხელისუფლება იგებს რამდენად კმაყოფილნი არიან მოქალაქეები მათ მიერ უზრუნველყოფილი მომსახურებით. ამავე დროს, ამოწმებენ დანერგილი სერვისების ხარისხსა და ეფექტურობას.



საგულისხმოა, რომ მიმდინარე გამოკითხვასთან ერთად, შესაძლებელია წარსულში ჩატარებული გამოკითხვების შედეგების ნახვა.

- ელ-მთავრობის პორტალზე მთავრობასთან დასაკავშირებელი ფორმა:** მოქალაქეებს შეუძლიათ საკონტაქტო ფორმის შევსებით დაუკავშირდნენ გვერდის ადმინისტრაციასა და მთავრობას. რაც ყველაზე საგულისხმოა, მისი შევსებისას ისინი აკონკრეტებენ რა ტიპის გზავნილს აწვდიან მთავრობას: კომენტარი, საჩივარი, შეკითხვა თუ შეთავაზება. ასევე, მოქალაქეები უთითებენ სერვისს, რასთან დაკავშირებითაც აგზავნიან საკუთარ მოსაზრებასა თუ კითხვას. ამგვარი კატეგორიზაცია საბოლოო ჯამში სასარგებლოა ორივე მხარისთვის. პირველ რიგში, საჯარო დაწესებულებას უადვილდება მიღებული წერილების დახარისხება და მთავრობის ადრესატი დეპარტამენტისთვის მიწოდება. ეს თავისთავად აისახება მოქალაქეებისთვის უკუკავშირის უზრუნველყოფის ხარისხსა და სისწრაფეზე. მომხმარებელსაც, ამგვარი ფორმატის მეშვეობით უადვილდება საკუთარი კომენტარისა თუ კითხვის ჩამოყალიბება.

Contact Us

We are constantly striving to find more convenient ways for you to interact with various Government bodies. To contact us with a request, complaint, or to provide feedback, please fill in the information required below, and then submit to us once you have finished. Please note that the mandatory fields are highlighted with an *

Type of interaction *	<input type="radio"/> Comment <input type="radio"/> Complaint <input type="radio"/> Inquiry <input type="radio"/> Suggestion
Customer type *	<input type="radio"/> Individual <input type="radio"/> Business <input type="radio"/> Government <input type="radio"/> Visitors
Full Name	<input type="text"/>
Organization Name	<input type="text"/>
ID/CR	<input type="text"/>
Best way to reach you *	<input type="radio"/> Email <input type="radio"/> Phone
Email *	<input type="text"/>
Contact Number	<input type="text"/>
Country of Current Residence	<-- Select a country --> ▼
Service Name *	<-- Select a service --> ▼
Subject *	<input type="text"/>
Content (Please limit your message to 5000 characters) *	<div style="border: 1px solid gray; height: 60px; width: 100%;"></div>




Please enter the text from the image above.
(Please do NOT type the spaces between letters) *

მთავრობასთან დაკავშირების ფორმა ვებ-გვერდზე

ამასთან ერთად, ვებ-გვერდზე დაზუსტებულია დღეების რაოდენობა, რაც ესაჭიროებათ მთავრობის წარმომადგენლებს მოქალაქეების მიერ გაგზავნილ შეტყობინებებსა და მოთხოვნილ მომსახურებაზე რეაგირებისა და მათთვის სრულყოფილი პასუხის გაცემისთვის.

- **ონლაინ ჩეტი (Online chat)** – საკმაოდ მნიშვნელოვანია ონლაინ ჩეტის სერვისის არსებობა, რომლის დახმარებითაც მოქალაქეს შეუძლია ონლაინ კონსულტაცია მიიღოს მისთვის საინტერესო საკითხებზე. აღსანიშნავია, რომ ელექტრონულ რესურსზე მითითებულია/დაკონკრეტებულია საკონსულტაციო დღეები და საათები.

- **გამოწერა** - მომხმარებლებს შეუძლიათ გვერდზე მიუთითონ საკუთარი ელ-ფოსტა, რის შემდეგაც ისინი მუდმივად მიიღებენ ვებ-გვერდზე განახლებულ ცნობებს და მათი საკონტაქტო ინფორმაცია დაემატება ადმინისტრაციის საკონტაქტო ინფორმაციის ნუსხას.
- **მობილურ პორტალი (Mobile Portal):** ბაჰრეინში მთავრობა აქტიურად იყენებს მობილურ აპლიკაციებს. კერძოდ, მოქალაქეებს 55 სერვისით სარგებლობა საკუთარი მობილური ტელეფონის შეუძლიათ. აღნიშნული ტიპის მომსახურებაში შედის ამინდის პროგნოზი, თვითმფრინავის მარშრუტების შესახებ ინფორმაცია, სკოლის გამოცდების შედეგები, სხვადასხვა კომუნალური გადასახადები, საფოსტო ამანათების შესახებ ცნობები, საჯარო დაწესებულებებში შეტანილი საჩივრების რეგისტრაცია და ა.შ.



მობილურ პორტალი

თითოეული აპლიკაციის გამოყენების შესახებ ვებ-გვერდზე განთავსებულია დეტალური სახელმძღვანელო. ამ მასალაში სერვისების გამოყენების წესები მხოლოდ ნარატიული

ტექსტით არაა მოცემული და დართულია ვიზუალური მასალებიც. ეს კიდეც უფრო ამარტივებს მათ აღქმასა და გაგებას. დეტალური ინფორმაციის გარდა, შექმნილია ვიდეო, რომელიც მოქალაქეებისთვის მარტივად აღსაქმელ და ვიზუალურ ფორმატში წარმოაჩენს დანერგილი აპლიკაციების გამოყენების მნიშვნელობას. როგორც ჩანს, თავად მთავრობა უწყობს ხელს ინტეგრირებული და დანერგილი მომსახურებების გავრცელებას, პოპულარობასა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას.

- **ელ-მთავრობის მობილურ პორტალზე (Mobile Portal) არსებული უკუკავშირის ფორმა:** აღნიშნულ განყოფილებაში ჩამოთვლილია მთავრობის მიერ დანერგილი სერვისები და პორტალზე დარეგისტრირებულ თითოეულ მომხმარებელს შეუძლია შეაფასოს თითოეული მათგანი. ამით მთავრობა ეცნობა თუ რამდენად კმაყოფილნი არიან მოქალაქეები მათ მიერ განვითარებული ინოვაციებით და რა პრობლემები ან ხარვეზები აღმოჩნდა მათი რეალიზაციის შემდეგ. ეს მიანიშნებს მთავრობის სურვილზე მუდმივად გააკონტროლოს და გააუმჯობესოს საკუთარი სერვისების ეფექტური ფუნქციონირება.

ბაჰრეინში ელ-კომუნიკაციის კუთხით განხორციელებული ინოვაციების გაცნობამ აჩვენა, რომ მთავრობის მთავარი მიზანია მოსახლეობას სხვადასხვა ტიპის მომსახურება მარტივად და სწრაფად მიაწოდოს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოქალაქეებს ეძლევათ საშუალება აღნიშნული სერვისების შესახებ საკუთარი პოზიცია და დამოკიდებულება ღიად დააფიქსირონ. უფრო მეტიც, მთავრობამ მათთან კომუნიკაციის სტრატეგია სწორედ ბაჰრეინის მოქალაქეების მიერ მიწოდებული ინიციატივების მიხედვით შეიმუშავა. ამგვარი მიდგომა კიდეც უფრო ზრდის პროექტით დასახული მიზნების მიღწევის შანსს და ხაზს უსვამს მოქალაქეებზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავებას.

დასასრულს, საქართველოსთვის აღსანიშნავია შემდეგი ფაქტიც. ბაჰრეინის ელექტრონულ პორტალზე მოქალაქეებს ადმინისტრატორები მუდმივად პასუხობენ მოქალაქეების კომენტარებს. აქედან ამკარაა, რომ უკუკავშირის უზრუნველყოფა აუცილებელია თუ მთავრობას სურს მოქალაქეებთან დამყარებული კომუნიკაცია ორმხრივი, ინტენსიური და ეფექტური იყოს. უფრო მეტიც, მთავრობის წარმომადგენლების ღიაობა მომხმარებელთა კომენტარებისა თუ შენიშვნებისადმი დადებითად აისახება მოსახლეობაში მათ მიმართ ნდობის ხარისხზე. ეს იმითაცაა განპირობებული, რომ ელ-რესურსების მომხმარებლებს ამ შემთხვევაში გარანტიები აქვთ მიღებული ხელისუფლებისგან, რომ მათ ინიციატივებს განიხილავენ, რის შემდეგაც მთავრობა მათ მიღებულ გადაწყვეტილებებს აცნობებს.